ჭიანური

140
1947/2

№12

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კ.ი.ო.ნ.ე.რ.ი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

ПИОНЕРИ

Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии

(на грузинском языке)

წელიწადი XXII

1947 წელი

№ 12

დეკემბერი

გამომცემლობა „კომუნისტი“

რედაქციის მისამართი:

თ.ბილისი, ლენინის ქ., № 28,

ტელეფონი № 3-81-85

„ზამთარი“ ნახატი მოსწავლე ჯუანშერ ვასაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



43445

როცა ომის ქარიშხალი
გრგვინავდა და მძვინვარებდა,
ნარისხვალი ელვის ხმალი
წყვდიადს ჰკვეთდა მყინვარებთან;

ცეცხლში იწვა დონის მიწა,
უკრაინის ტრამალები,
სამშობლოსთვის თავს სწირავდნენ
ჩვენი ძმები და მამები.

როცა ომის შავი ნისლით
შეიბურა მზე და მთვარე—
ის-ის იყო წამოვჩიტდით,
ის-ის იყო ფრთა გავშალეთ.

პაწაწინა ჩვენი გულით
შევიტკბეთ და შევიყვარეთ
ჩვენი კრემლი, ჩვენი გორი,
მშობლიური ჩვენი მხარე.

ომის სუნთქვას ყურს ვუგდებდით
სკოლის მერხზე განაბული.
და ჩვენ დიად მზის ამოსვლას
არ გვიგრძნობდა განა გული? —

და ჰა, როცა კრემლის კოშკებს —
ზიდულებს მაღლა, ცისკენ
ცხრა მაისის დილის ღიმით
უცინოდა გორის ციხე;

როს დიდების ელვამ დაჰკრა
გმირი ქვეყნის მთებს და ველებს —
ჩვენ გორისკენ მივაფრენდით
წითელ-წითელ ყელსახვევებს.

გუგუნებდა ჩვენს წინ გორი
უკვდავებით დადაფნული.
ზეიმობდა მის ქუჩებში
სიცოცხლე და გაზაფხული.

ის აქ, გორში დაიბადა,
ვინც ყველა ბავშვს მამადა გვყავს,
არასოდეს არ გვივიწყებს,
ჩვენზე ფიქრი ომშიც გაჰყვა.

მან აგვინთო სიხარულის
სხივკაშკაშა ჩირაღდანი...
მას სიცოცხლე, მას დიდება —
ხალხთა მნათობს, ძია სტალინს!

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიროვი და ბავშვები



ცამეტი წლის წინათ, 1934 წლის 1 დეკემბერს, ლენინგრადში, ავაზაკებმა—საბჭოთა ხალხის მტრებმა მოჰკლეს ლენინისა და სტალინის ერთგული მოწაფე სერგეი მირონის-ძე კიროვი. მან მთელი თავისი სიცოცხლე ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლას შესწირა.

ამხანაგი სერგეი კიროვი ბავშვების საუკეთესო მეგობარი იყო. იგი დიდად ზრუნავდა ჩვენი ახალგაზრდობისათვის. ბავშვები ხშირად მიმართავდნენ სერგეი მირონის-ძეს რჩევა-დარიგებისათვის, სწერდნენ მას წერილებს, და კიროვი მუდამ გულთბილად ეხმაურებოდა მათ.

კიროვი ბავშვობიდანვე მეტად ცოდნის მოყვარე და ნიჭიერი იყო. საეკლესიო-სამრევლო სკოლა, სამოქალაქო სასწავლებელი და ყაზანის სამექანიკო-ტექნიკური სასწავლებელი მან წარმატებით დაამთავრა.

სწავლის პერიოდში ყალიბდებოდა სერგეი კიროვის ხასიათი. იგი მაშინვე იჩენდა სიმტკიცეს, შეუპოვრობას, დამოუკიდებლობას და განსაკუთრებულ გულითადობასა და სიყვარულს თავისი ამხანაგებისა და გაჭირვებული დამიანებისადმი, მშრომელთა შვილებისადმი.

აი, ერთი მაგალითი: სერგეი მირონის-ძე როცა ყაზანის ტექნიკურ სასწავლებელში სწავლობდა, იგი თავის მეგობრებთან ერთად, დიდხანს დაძაბულად მუშაობდა და გააკეთა პატარა მოტორი. ამ დროს ერთი მისი ამხანაგი სასწავლებელში ვეღარ დადიოდა სამეცადინოდ: მას მარვალი გაცვეთოდა. მაშინ ახალგაზრდა სერიოჟამ უყოყმანოდ გაჰყიდა ბაზარზე დიდი შრომით გაკეთებული საყვარელი მოტორი და აღებული ფულით ახალი მარვალი უყიდა ამხანაგს.

ამხანაგი კიროვი დიდად აფასებდა ნიჭიერ ბავშვებს. იგი დიდი სიხარულით ეგებებოდა ნიჭიერ ბავშვთა ზრდას, უხაროდა მათი წარმატება, ესწრებოდა კონკურსებზე შერჩეულ ნორჩ მუსიკოსთა კონცერტებს, პირადად ეხმარებოდა და გზას უკაფავდა ბევრ ნიჭიერ ბავშვს.

სერგეი მირონის-ძე ბევრს კითხულობდა. მან იცოდა ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა ახალი მოვლენა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები.

კიროვს დიდად უყვარდა ბუნება. როცა კავკასიაში ცხოვრობდა, იგი გატაცებით დადიოდა მთებში, ადიოდა თოვლიან მწვერვალებზე—მყინვარზე, ილაშუზზე და სხვ. დასვენების დღეებს კიროვი, ჩვეულებრივ, ნადირობაში ატარებდა, მრავალ ათეულ კილომეტრს გადიოდა ფეხით ტყეებსა და ჭაობიან ადგილებში.

კიროვი გრძნობდა ცხოვრების სიხარულს, შეშოქმედების სიხარულს. საკავშირო კპ (ბ)-ის მე-17 ყრილობაზე, 1934 წელს, აღნიშნავდა რა სოციალისტური მშენებლობის წარმატებას ჩვენს ქვეყანაში, იგი ამბობდა: „წარმატება მართლაც უდიდესი გვაქვს. ხედავ ამას და გინდა სულ იცოცხლო და იცოცხლო. მართლაც, შეხედეთ, რა ხდება. ეს ხომ ფაქტია!“

ამხანაგ კიროვის მოკვლის გამო დიდი სტალინი და მისი თანამებრძოლები 1934 წლის 1 დეკემბერს სერგეი მირონის-ძის შესახებ სწერდნენ: „ამხანაგი კიროვი მაგალითი იყო ბოლშევიკებისა, რომელმაც შიში და სიძულელე არ იცოდა პარტიის მიერ დასახული დიადი მიზნის მიღწევაში“.

ბავშვებო! მიბაძეთ სერგეი მირონის-ძე კიროვს!

ისწავლეთ, იცხოვრეთ, იმუშავეთ და იბრძოლეთ ისე, როგორც სწავლობდა, ცხოვრობდა, მუშაობდა და იბრძოდა პარტიისა და ხალხის საყვარელი შვილი—ძვირფასი სერგეი მირონის-ძე კიროვი.

ი. ნიკონოვი

მოთხრობა

მდინარე ზანგას*) მარჯვენა ნაპირზე, ფრიალო კლდეების მწვერვალი ბრტყელია და ვენახებით დაფარული.

ერთ-ერთი ზეარის ახლოს ახლაც დგას ქვიტკირის სახლი, რომელშიც ერთ დროს ცხოვრობდა აგრონომი კარაპეტ აივაზიანი. ახლაც ამ სახლის წინ ტყუბი დებივით დგას ორი, ცადაზიდული ვერხვი.

ერთ მათგანზე, ყოველ გაზაფხულზე თავის ბუდეს ანახლებდა და ბარტყებს სჩიკდა ორი წერო.

ისინი ისე იყვნენ ადამიანებს შეჩვეულნი, რომ თავისუფლად დადიოდნენ ეზოში, ვეებერთელა ნისკარტებით ეკვეთებოდნენ ქათმებს და სტაცებდნენ საჭმელს.

მათგან ერთი წერო რჩებოდა ხოლმე ბუდეში, ათბობდა კვერცხებს. მეორე კი მიდიოდა მეუღლისათვის საჭმლის მოსაძებნათ.

როცა ბარტყებს დასჩეკდნენ, რიგრიგობით რჩებოდნენ მათთან, რომ შევარდენს არ მოეტაცნა, ან არ გართულიყვნენ თამაშობით და გადმოცვენილიყვნენ ბუდიდან.

ერთხელ ეზოში რაღაც ხმაურობა ატყდა. ძაღლი ყეფით მისდევდა უცნაურად მცურავ „თოკს“. კისერწაგრძელებული ქათმები კაკანებდნენ გულგახეთქილნი, კატა თათს სცემდა „თოკის“ კუდს და ისევ უკან იხევდა.

შაი „თოკი“ კი ძლაკვნითა და სისინით გაქანდა, შემოხვია ვერხვს და ასრიალდა ზემოთ.

ბუდიდან თავგამოყოფილმა წეროს ბარტყებმა ღრიანცელი ასტეხეს. ამ დროს, თითქოს ციდან ქვა ჩამოვარდაო, სასწრაფოდ დაეშვა წერო, გველს თავში ნისკარტი დაჰკრა და გააბრუა, შემდეგ ნისკარტი კუდში ჩაავლო, აფრინდა სულ მაღლა, ღრუბლებში, იქ შხამიან მტერს ნისკარტი უშვა და გველი ზანგას წვეტიან კლდეზე დავარდა.

ყოველ შემოდგომაზე წეროები თბილ ქვეყნებში მიფრინავდნენ. ბავშვები და ეზოს ცხოველები ისე იყვნენ შეჩვეული წეროების კეთილ მეზობლობას, რომ მათი წასვლის შემდეგ ნაღვლიანად გაჰყურებდნენ ხოლმე სამხრეთს, არაქსის*) ხეობას, საიოკენაც, თავიანთ მხიარულ ბარტყებთან ერთად, მიფრინავდნენ და უჩინარდებოდნენ მათი საყვარელი წეროები.

და ყოველთვის, როცა ცარიელდებოდა ბებერ ვერხვზე გამართული ბუდე და მიმავალ წეროთა გუნდი იკარგებოდა შემოდგომის რუხ ჰორიზონტზე, აგრონომი კარაპეტ აივაზიანი დიდხანს გაჰყურებდა ხოლმე სამხრეთს და ფიქრობდა: „ნეტავ სად ზამთრობენ ჩვენი წეროები.. ნეტავ ჩვენსავით სხვა ნათესავი ადამიანები კიდევ ჰყავთ ვინმე, თუ არა?!“

ერთხელ, თბილ ქვეყნებისკენ წეროების გაფრენის წინა დღეებში მოხუცმა აგრონომმა ინგლისურ ენაზე დასწერა შემდეგი სტრიქონები:

„პატივცემულო უცნობო ბატონებო!

ამ ბარათის მომტანი ჩვენი ოჯახის ძველი მეგობარია. მისი ბუდე ჩემი სახლის წინ მდგარ ვერხვზეა, სომხეთის ქალაქ ერევანში. მე მაინტერესებს, თუ სად და როგორ ატარებს ზამთარს ჩვენი ოჯახის მეგობარი. გთხოვთ მიპასუხოთ.

აგრონომი კარაპეტ აივაზიანი.

1919 წელი, ოქტომბერი, ქალაქი ერევანი“.

ეს წერილი ჩასდო სპილენძის ერთ პაწია კოლოფში, კანაფის ძაფით მიაბა მაშალ წეროს ფეხზე და გაუშვა. რამდენიმე დღის შემდეგ წეროები თბილ ქვეყნებისაკენ გაფრინდნენ.

*) ზანგა გამოდის სევანიდან და ერთვის მდინარე არაქსს.

*) არაქსი სომხეთის დიდი მდინარეა, რომელსაც ეწოდება აგრეთვე არაზი ანუ ეირასხი

გაზაფხულის პირზე, ყოველ დილით ბავშვები ადიოდნენ ბანზე და იყურებოდნენ სამხრეთისაკენ, გასცქეროდნენ არაქსის რუხ ხეობას და ნისლით მოცულ მოხუც არარატს*) — ელოდნენ წეროებს.

ერთ დღეს, როცა ზანგას ხეობაში უკვე გაზაფხულის სუნი იდგა, ბაღებსა და ვენახებში ბავშვები სიხარულით დახტოდნენ ვაზის ბუჩქებში**) და მღეროდნენ:

„წეროვ, მოხველ მშვიდობით,
ჰეი, წეროვ, მოხველ მშვიდობით!“

მოხუც ვერხვსაც სიხარულისაგან კვირტებიდან ნორჩი ფოთლების წვეტები გამოეჩინა. მას მოსვლოდნენ ძვირფასი სტუმრები, რომელთაც უკვე დაეწყოთ თავიანთი ბუდეების შეკეთება.

აგრონომმა პურის ნაფჩხვენი დაყარა მიწაზე და წეროებს დაუძახა. ისინი მერყევი ნაბიჯით მიუახლოვდნენ საკენკს.

მამალ წეროს ფეხზე მობმული ჰქონდა ნაცნობი კოლოფი.

— პასუხი მოსულა! — წამოიძახა აგრონომმა.

შინაურები ვამოცვივდნენ. იმ დღეს ვერ მოხერხდა წეროს ხელში ჩაგდება, მაგრამ ცხადი იყო, რომ რომელიღაც ქვეყანაში, ვიღაც ხალხს მიეღო აგრონომის წერილი და პასუხიც გამოეგზავნა.

მეორე დღეს მოხერხდა წეროს დაჭერა. კოლოფი მოხსნეს, შიგ იდო წერილი:

„ერევანი, სომხეთი, აგრონომ კარაპეტ აივაზიანს.

ღრმად პატივცემულო ბატონო!

მივიღეთ თქვენი წერილი. ნუ შეგაწუხებთ თქვენი წეროს მდგომარეობა. ის ყოველ ზამთარს გვესტუმრება ხოლმე ჩვენ, ინდოეთის ქალაქ კალკუტაში, საქალაქო საავადმყოფოს ეზოში. ის ისეთივე მეგობარია ჩემი, ჩემი აგრონომი ცოლისა და სტუდენტი შვილისა, როგორც თქვენი. ჩემი ცოლი სარგებლობს ინდოეთ-ერევნის ჩვენი ამ საჰაერო მშვენიერი ფოსტით და გიგზავნით ინდოეთის მოალბარისხოვანი თამბაქოს თესლს. დასთესეთ, გაავრცელეთ თქვენში და ყოველ მოწევაზე მოგვიგონეთ.

თქვენი შორეული ნაცნობი, საავადმყოფოს უფროსი ექიმი:

ჯონ სტენლი“.

მოხუცი აგრონომი აღფრთოვანებული იყო სიხარულით. კოლოფიდან ამოიღო სპილოს ძვლის ძალიან პაწაწა კოლოფი, საუკეთესო ხარისხის თამბაქოს თესლით სავსე.

ქალაქში გავრცელებულიყო ეს არაჩვეულებრივი ამბავი. ხალხი მოდიოდა აგრონომის წეროების სანახავად. ხუმრობა როდი იყო! ესენი პირველი საჰაერო კავშირის ავტორები იყვნენ ინდოეთსა და ერევანს შორის!

* * *

მეორე გაზაფხულზე დაბრუნდა მხოლოდ დედალი წერო. მის ფრთებს წინანდელი სილამაზე აღარ ჰქონდა, თვითონაც დაპატარავებულიყო, გამხდარიყო და მოკუნტულიყო. თავის ბუდეში, ცალ ფეხზე, მშიერი და მდუმარე იდგა მთელი დღეები, გაუნძრევლად. ხან კი გამოერკვეოდა და ნაღვლიანი ღუღუნით გლოვობდა თავის მარტოობას.

მას დაჭკარგოდა ტოლი. სეტყვას გაებრუებინა და ჩამოეგდო ღრუბლებიდან, დასუსტებულ ფრთებს ეღალატნათ, თუ სამხრეთის შირს ემსხვერპლნა? ძნელი იყო გაგება.

მოხუცი აგრონომი გაეშურა ფოსტისაკენ და წერილი მისწერა მისტერ ჯონ სტენლის; სთხოვდა ეცნობებინა, თუ რა იქნა მამალი წერო!

მეტად არეული დრო იყო და პასუხი გვიან, ზაფხულის მიწურულში მოვიდა:

„დიდად პატივცემულო ბატონო კარაპეტ აივაზიან!

---

*) არარატი ანუ ბასისი მთა არის სომხეთში; ამჟამად ეს მთა თურქეთის საზღვარზეა

**) სომხეთში ვენახები მეტწილად ბუჩქებად არის, ე. ი. ყურძენი მოდის მიწაზე წაწვენილ ვაზებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენთან ერთად ვიზიარებთ თქვენი ოჯახის მეგობრის — დედალი წეროს მწუხარებას.

საბრალო მამალი წერო პოლიციის ტყვიით დაიღუპა. მე კი „თქვენთან“—საბჭოთა ადამიანთან საჰაერო კავშირის გამბმისათვის ციხეში ჩამსვეს ორი თვით.

დედალ წეროს შესახებ მატყობინებთ, წელს ბარტყი არ გამოუჩეკიაო... ალბათ გაბოჩეკს არასოდეს... წეროები მეუღლის სიკვდილის შემდეგ სიკვდილამდე მარტონი რჩებიან...

კალკუტა, 26 აგვისტო, 1921 წელი.

ექიმი ჯონ სტენლი“.

თარგმანი სომხურიდან სურენ ავჩიანისა

მურგან ლებანიძე

გამარჯვებული არტილერია

უზარმაზარი ბორბლების გრგვინვა
გესმის?—ეს ჩვენი მორტირებია,
ჩვენი გრუხუნა ჰაუბიცები —
ჩვენს მზეს და მიწას დანაფიცები,
ჩვენი საბჭოთა არტილერია.

მოაგორებენ ბედაურები,
და მებრძოლებს რომ დაუფერიათ,
ლულები — მკაცრად მოკუმულები
ხორთუმებივით აუღერიათ.
მკაცრი დუმილით გასცქერენ ლაქვარდს
და ესიზმრებათ ცეცხლი იმ დღეთა,
როდესაც ჭეუხდნენ სევასტოპოლთან
და გრიალებდნენ ბერლინის ბჭესთან...

აი, ბავშვები მოაწყდნენ ფარდებს,
მანდილოსნები აღებენ ფანჯრებს.
ალისფერ კალთებს შლიან დროშები
და ფრიალებენ ცხვირსახოცები...

უზარმაზარი ბორბლების გრგვინვა
გესმის? — ეს ჩვენი მორტირებია,
ჩვენს მზეს და მიწას დანაფიცები,
ჩვენი გრუხუნა ჰაუბიცები...
მისდევენ გუნდად,
ჰაუ, ბიჭები! —
ეს ჩვენი რაზმის ყმაწვილებია...
და მიგუგუნებს, გამარჯვებული,
ჩვენი საბჭოთა არტილერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ქართველი მწერალი



მიმდინარე წლის პირველ დეკემბერს დიდძალი ხალხი მიაწყდა თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრს. ამ დღეს თეატრში წარმოდგენა არ მიდიოდა, მაგრამ თეატრი მაინც ყველას იზიდავდა.

რამ დაინტერესა ასე დედაქალაქის საზოგადოება?

პირველ დეკემბერს რუსთაველის სახელმწიფო თეატრში დანიშნული იყო დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის საიუბილეო საღამო მისი დაბადებიდან 110 წლისთავისა და გარდაცვალებიდან 40 წლისთავის აღსანიშნავად.

საიუბილეო საღამოზე წაკითხული მოხსენება, წარმოთქმული სიტყვები, ხალხის ტაში — ქმნიდა დაუვიწყარ საზეიმო განწყობილებას, რომელშიც იხატებოდა დიდი ილიასადმი ქართველი ხალხის ჩაუქრობელი სიყვარული.

ეს სიყვარული დაიწყო სამწერლო ასპარეზზე ილია ჭავჭავაძის გამოსვლის დღიდან და მწერლის მოღვაწეობის პერიოდში იგი თანდათან გაძლიერდა... ვერაგულად განგმირულ მწერალს ამ სიყვარულის სითბო და ცრემლი საფლავში თან ჩაჰყვა, ხოლო მისი დიდი ნათელი ხალხში დარჩა.

საიუბილეო საღამოზე თეატრის დარბაზი ამ სიყვარულის ნათელით იყო გაბრწყინებული.

* * *

ხალხმა იცის თავისი ვარამისა და სიხარულის გამზიარებლის, მისი უკეთესი ცხოვრებისათვის მებრძოლთა პატივისცემა. ილია ჭავჭავაძე ხალხის გულში ჩახედული, მისი გაჭვები და მეჭირისუფლე იყო. იგი ბავშვობაშივე დაიფიქრა ბატონის როზგით გაწამებული გლეხკაცის ცხოვრებამ. დაიფიქრა თვითმპყრობელობის უღლით დაბეჩავებული სამშობლოს ბედმა... ერთსაც და მეორესაც შველა სჭირდებოდა. ამისთვის, სურვილთან ერთად, ძალა იყო საჭირო. ძალას კი ცოდნა აძლევს ადამიანს, და ილიამაც გადასწყვიტა შეიარაღებულიყო საფუძვლიანი ცოდნით.

გაათავა რა თბილისის გიმნაზია, ჭაბუკი ილია ჭავჭავაძე გულისტკივილით გამოეთხოვა მის მშობლიურ ყვარლის მთებს და პეტერბურგში გაემგზავრა უნივერსიტეტში შესასვლელად.

1857 წელს ილია შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე.

იწყებოდა მღელვარე სამოციანი წლები. იზრდებოდა ბატონყმობით გაწამებულ გლეხთა ამბოხებები. მზადდებოდა ნიადაგი ბატონყმობის მოსასპობად. ახალგაზრდობაში ნოყიერ ნიადაგს პოულობდა ხალხთა საკეთის აღმოსაცენებლად ბელინსკის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის გონების გამაღვიძებელი იდეები. თვითმპყრობელობა შეშინებული იყო: განმათავისუფლებელი მოძრაობის ქარი ჰქროდა და თვითმპყრობელობას დამხობას უქადდა.

სტუდენტი ილია ჭავჭავაძე გაიტაცა გან-
მათავისუფლებელმა მოძრაობამ. ილია დაუ-
წაფა პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათ-
თის წიგნების კითხვას. დიდ ინტერესს იჩენ-
და პუშკინის, შექსპირის, ბაირონის, ბელ-
ინსკის, გოგოლის, დობროლიუბოვისა და
სხვათა ნაწარმოებებისადმი.

გარდა ამისა, ამ პერიოდში, ილია ჭავჭა-
ვაძე საფუძვლიანად ეცნობოდა ძველ ქარ-
თულ მწერლობას და ქართველი ერის ის-
ტორიას. აღსანიშნავია ისიც, რომ თავის ნა-
წარმოებთა საგრძნობი ნაწილი ილიამ ამ პე-
რიოდში დაწერა. გონებრივი გამჭრახობ	s-
თა და განათლებით ილია მოწინავე სტუ-
დენტი იყო და განსაკუთრებით ქართველ
სტუდენტთა წრეში. მას დიდი ავტორიტეტი
ჰქონდა.

1861 წელს ილია ჭავჭავაძე სამშობლოში
ბრუნდება — სამოციანი წლების მოწინავე
იდეებით აღჭურვილი. ამ წელს დაწერა
ილიას ღირსშესანიშნავი ნაწარმოები „მგზავ-
რის წერილები“. მოცულობით ამ პატარა ნა-
წარმოებში სიტყვის იშვიათი ოსტატობით
მოცემულია სამშობლოში მომავალი პოეტის
მღელვარი ფიქრები და ღრმა განცდები თავისი
ქვეყნის შესახებ, სამშობლოსადმი პოეტის
მოვალეობის შესახებ.

საქართველოში ილიას ირგვლივ შემოკრ-
ბა ხალხის უკეთესი ცხოვრებისათვის მე-
ბრძოლი ახალთაობის წარმომადგენლები.
დაარსდა ლიტერატურული წრე, სადაც
ზშირად კითხულობდა ილია თავის დაუბეჭ-
დავ ნაწარმოებებს და მოხსენებებს მიმდი-
ნარე საჭირბოროტო საკითხებზე.

ილია ჭავჭავაძის პირველი ლექსები ჟურ-
ნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა, რომელიც ერ-
თადერთი ჟურნალი იყო იმ დროს საქართვე-
ლოში. „ცისკრის“ თანამშრომელთა დიდი
ნაწილი ფეოდალური საქართველოს და მი-
სი ჩამორჩენილი, კარჩაკეტილი ცხოვრების
მეხოტბე იყო. ამ მწერლებთან ახალგაზრდა
ილია ჭავჭავაძეს მკაცრი ლიტერატურული
შეჯახება მოუხდა. ილია მათ უწუნებდა სა-
ლიტერატურო ენას. ეს ენა ძველი საეკლე-
სიო ენისაგან გამომდინარეობდა და ძლიერ
იყო დაშორებული ხალხის სასაუბრო ენისა-
გან. რაც მთავარია, „ცისკრის“ ირგვლივ შე-
მოკრებილ ძველ მწერლებს, რომელნიც ლი-
ტერატურის ისტორიაში „მამების“ სახელით
არიან ცნობილნი, ილია იდეური ჩამორჩენი-
ლობას უწუნებდა.

ილია ჭავჭავაძემ სალიტერატურო ენა
დაუახლოვა ხალხის სასაუბრო ენას. ქართუ-
ლი ანბანი გასწმინდა მკვდარ, ზედმეტად-
ქცეულ ასოებისაგან, მოახდინა ქართული
ენის გადახალისება. განახლება... ამიტომ
უწოდებენ ილიას (კაკი წერეთელთან ერ-
თად) ქართული ენის რეფორმატორს.

ილია ჭავჭავაძეს არ შეეძლო თავის ახა-
ლი იდეებისა და მისწრაფებების გამო ჟურ-
ნალ „ცისკარში“ თანამშრომლობა. პოეტის
ოცნება იყო ახალი, ძოწინავე იდეების მქო-
ნე ჟურნალის დაარსება, და, აი, 1863 წელს
ილია ჭავჭავაძის თაოსნობითა და რედაქტო-
რობით გამოსვლას იწყებს ჟურნალი „საქ-
ართველოს მოამბე“. ჟურნალის გარშემო
შემოკრბა განმათავისუფლებელ იდეებზე აღ-
ზრდილი, რუსეთში განათლებამიღებული
ქართული მწერლობის ახალი თაობა. ეს
თაობა ქართულ ლიტერატურაში „თერგ-
დალეულთა“ სახელით არის ცნობილი.

„საქართველოს მოამბემ“ სიცოცხლე შეი-
ტანა ქართველი ხალხის გონებრივ ცხოვრე-
ბაში. ეს ჟურნალი ქადაგებდა შრომის თავი-
სუფლებას, ამხელდა ბატონყმობის მანკს და
გმობდა მას, შეჰქონდა ხალხში ნათელი აზ-
რი და სიტყვა უკეთესი ცხოვრების შესაქმ-
ნელად. ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“
დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის სატირული მოთ-
ხრობა ბატონყმობაზე „კაცია ადამიანი?!“
ნაწყვეტები „აჩრდილიდან“, „კაკო ყაჩაღ-
დან“ და სხვ...

ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოშ-
ვებას, თავისი მებრძოლი ხასიათის გამო,
ძლიერ აბრკოლებდა ცენზურის მკაცრი რე-
ჟიმი. ამ რეჟიმის წყალობით ჟურნალმა 1864
წელს შესწყვიტა არსებობა.

ამის შემდეგ ილია ჭავჭავაძეს ვხედავთ
ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკე
ძინდობილობათა მოხელედ, მომრიგებელ
შუამავლად დუშეთის მაზრაში და ბოლოს
იმავე მაზრაში მომრიგებელ მოსამართლედ.

1874 წელს ილია ჭავჭავაძე კვლავ თბი-
ლისს უბრუნდება და ენერგიულად ებმება
ლიტერატურულ მუშაობაში. 1877 წლიდან
ილიას რედაქტორობით გამოსვლას იწყებს
ჟურნალი „ივერია“, რომელიც შემდეგ გა-
ზეთად გადაკეთდა. ამ პერიოდს ეკუთვნის
ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „სახრჩობელა-
ზედ“, პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებუ-
ლი“ და მრავალი ღირსშესანიშნავი პუბლი-
ცისტური წერილი.

1861 წელს რუსეთში ბატონყმობა გადა-
ვარდა. 1864 წელს ბატონყმობა მოისპო სა-
ქართველოშიც. დაისვა საკითხი: განთავი-
სუფლების შემდეგ მისცემოდა თუ არა
გლეხებს მიწა საკუთრებად. თავადაზნაუ-
რობის საგანგებო კრებაზე, სადაც იხილავ-
დნენ გლეხთა განთავისუფლების პროექტს,
ილიამ განაცხადა: გლეხებს მიწა უნდა მიე-
ცესო. ერთმა განრისხებულმა თავადმა ხან-
ჯალი იშიშვლა და ლანძღვა-ვინებით

ილიასკენ გაიწია, მაგრამ იგი შეაჩერეს და დააშიმშინეს.

ილია ჭავჭავაძე გლეხკაცობას ქვეყნის დოვლათის შემქმნელად და ერის ჯანსაღ ნაწილად აღიარებდა. ოცნებობდა მის გონებრივ ამაღლებაზე, მისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. ილიას სწამდა, რომ შრომა მონობისაგან განთავისუფლდებოდა და გლეხკაცი განკაცდებოდა, რომ ისიც სრულუფლებიანი ადამიანი და პატივცემული იქნებოდა.

ილია ამხელდა და კიცხავდა ბატონის უქნარობასა და გაუმაძღრობას. მოთხრობა „კაცია ადამიანი?!“ ამ მხრივ მეტად საგულისხმოა.

სამშობლოს სიყვარულს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია. მწერალს სევდას გვრის სამშობლოს დაბეჩავებული მდგომარეობა, ერის ერთი ნაწილის გადაგვარება. გაზაფხულით აყვავებული მდელო და მთები მწერალში სამშობლოს აყვავების სურვილს იწვევს და ილიაც ნაღვლიანად კითხულობს:

„აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები,
მამულო, საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?“

მწერალს სწამს სამშობლოს კარგი მომავალი, მისი აყვავება. ლექსში „ჩემო კარგო ქვეყანავ!“ მწერალი დარწმუნებული სწერს:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!
აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი
ჩვენია.“

სამშობლოს სახელისა და ღირსების შემლახველთა წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძე გაუკითხავი მებრძოლი იყო. პუბლიცისტური წერილები „სომეხთა მეცნიერნი და ქართველთა ღაღადი“ და „აი ისტორია“ საუკეთესო ნიმუშია ილიას ბრძოლისა სამშობლოს ღირსების დასაცავად.

თავისი შემოქმედებითი ცხოვრების უკანასკნელ წლებში ილიამ დასწერა ისეთი ღირსშესანიშნავი ნაწარმოებნი, როგორიც არის „ოთარაანთ ქვრივი“ და „განდეგილი“.

ილია ჭავჭავაძე მეფის ოხრანკის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, როგორც ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი და ყოველი ახალი და სასიცოცხლო საქმის წამომწყები თავისი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

საქართველოში იშვიათი იყო დიდი საზოგადოებრივი საქმიანობა, რომელშიც ილია ჭავჭავაძეს მონაწილეობა არ მიეღო ან მისი თაოსანი არ ყოფილიყო.

ილია იყო სათავადაზნაურო ბანკის დამაარსებელი და მისი გამგეობის თავმჯდომარე 30 წლის განმავლობაში.

1906 წელს ილია ჭავჭავაძე არჩეულ იქნა სახელმწიფო საბჭოს წევრად. ამ მხრივ იგი პირველი ქართველი იყო, მაგრამ სახელმწიფო საბჭოში ილიას არ დასცალდა მუშაობა: 1907 წლის 30 აგვისტოს მეფის ოხრანკის მიერ მოსყიდულ ნაძირალთა ხელით ილია ჭავჭავაძე ვერაგულად იქნა მოკლული.

ქართველმა ხალხმა მწარე ცრემლით დაიტირა თავისი დიდი მეჭირისუფალი. ჰისი სიყვარული ხალხის გულში დაუჩრდილავ სინათლედ დარჩა. ეს სიყვარული ოთობიდან თოობაზე მოდის, რომლის ერთი გამოსახვება იყო პირველ დეკემბერს რუსთაველის სახელობის თეატრში გამართული ილიას საიუბილეო საღამო.

გიორგი კაჭახიძე

ალიო ადამია

ნახატები ირ. "რეზეშეძის"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაზური ბალადა

აი, ნამდვილი ამბავი
ამ ერთი ლექსის სათქმელი,
ოშკის ტაძარი დაადებს —
იქ ბინადრობდა ქართველი
ოშკის და სარფის გადაღმა
როგორ ჰყვაოდნენ სოფლები,
მერმე თუ როგორ გადახმა,
როგორ ჩანაცრდა ყოველი...
ქართველთა ის მიწა-წყალი
კვლავ აყვავებას მოელის!

* * *

სარფი — ლაზების სოფელი,
ყველგან ბაღი და ხეხილი,
კენჭებიანი ზღვისპირი,
ხე ვაზებშემოგრეხილი;

სარფი — პატარა მდინარე,
დიდი სოფელი ლაზური,
მოყვრისთვის გულმომღიმარი,
მტრისათვის კარდარაზული.
განთქმული სიმშვენიერით,
ლაღი, სუფთა და მზიანი!
ჩუქურთმიანი სახლები,
ჰიშკრებიც ჩუქურთმიანი!..

სოფელში ერთი სახლია,
სახლზე ვაზია ასული;
იქ სამი პატარძალია,
სამი ლამაზი ასული.

სამი ქალია, სამ-სამი
ნაწნავი მხრებზე ჰკიდიათ,
დილით ყელმაღალ სურებით
წყაროზე ერთად მიდიან.

სამი ქალია, სამივეს
თაფლისფერი აქვს თვალი, —
სოფლის შნოა და ლაზათი
ის სამი პატარძალი.

ოჯახში სამი ძმა არის,
სამი ვაჟკაცი ჯმუხა!
ხმალიერთ მჭრელნი ერთპირად,
ძლიერნი, როგორც მუხა;
ლხინია? ერთად ილხინენ,
წუხილი? ერთად სწუხან...

არ გაუყვიათ სიმდიდრე
დედ-მამის დანატოვარი—
შუბი, ელვარე ფარ-ხმალი,
ხანჯალი სწორუპოვარი.
არ ჩაუქრიათ ვაჟკაცებს
კერიის ცეცხლის ღადარი.
ოჯახს დოვლათი უმატეს,
აყვავდა მათი სახლკარი,
მარჯვენით გამაგრებული
და სიყვარულით გამთბარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

სარფს ამშვენებდა, წარმტაცი,
ბევრი ლამაზი სახლ-კარი,
იმათი ნახელავი და
იმათი ნაოსტატარი.
მოდგმიდან-მოდგმას გადმოჰყვა
ეს ოსტატობის უნარი, —
არ შეუქმნია ამათ ხელს
ვინმესგან დასაწუნარი:
ოდა-სახლები, ჭიშკრები,
კამარიანი ბუხრები!
ყველას ხიბლავდა, მოსწონდა
იმათი ნაჩუქურთმები...

* * *

სარფში საღამო სხვა არის,
გაბრწყინვებული მზის სხივით,
მოოქროვილი მთა-ბარით
და მოკენჭილი ზღვისპირით;
ხეებს სიმწვანე ეცლება
და მუქი ფერი ედება,
მზე წუთით ზღვაზე შედგება
და ქედებს შეაჩერდება.
მერმე მისწყდება თანდათან
ხმაური... ყუჩობს ტყე-ველი,
და მთაზე მთვარე ამოვა
ნათელის გადმომფრქვეველი.

* * *

ამგვარი იყო საღამო,
სახლში ილხენდნენ ძმები;
კერაზე ცეცხლი ღვიოდა,
ვახშამს ხარშავდნენ რძლები; —
ვიღაც მოადგა ჭიშკარს და
იკითხა მასპინძელი.

მიიპატიჟეს... სტუმარი
ცხენიდან მოსწყდა მარდად,
მიესალამა მასპინძლებს,
ზრდილი ვაჟკაცი სჩანდა.

თეთრი ფაფახის ბეწვები
თვალს ეხებოდა ოდნავ, —
შავი, სულ შავი ულვაში
ტუჩზე ღიმილად ჰქონდა.

შემდეგ ბოდიშით წარმოსთქვა:
„თქვენი ამბავი ვიცი:
სამი ხართ, სამივ ვაჟკაცი
შემსრულებელნი ფიცის.

სამი ხართ, სამივ ოსტატი,
ვერ შეგედრებათ სხვანი!
თქვენს სტუმრად მოსვლას
ნატრობენ
ჩვენი მესხეთის მთანი...

ჩვენ გვინდა ჩვენი სოფლები,
ჩვენი მთები და კორდები
დამშვენდეს თქვენი ნაგები
დარბაზებით და ოდებით“...

* * *

ძმები დასთანხმდნენ... თანხმობით
მესხის თვალები ელავდა.
იმ ღამეს კარგად ივახშმეს,
ბევრჯერ დასცალეს ხელადა.
დილით მესხს გაჰყვა უფროსი —
უფრო ნაცადი ძმებში;
ის ბევრის იყო მნახველი,
ბევრიც იწვნია გარჯა!
გადის თვე ერთი, მეორეც
და უფროსი ძმა არ ჩანს...

* * *

ლაზი ოსტატი მესხეთში
შრომობდა, სახლებს აგებდა.
ყველა ლაზის ხელს ლოცავდა,
მის ნაოსტატარს აქებდა.

უეცრად ლაზთა ქვეყანას
თურქებმა დასცეს ლახვარი,
სარფიც გადასწვეს, აიკლეს,
მიწას გაჰქონდა ზანზარი.
მერმე საზღვარი ვაავლეს
დედა-შვილობის ვამყოფი,
უსწორმასწორო საზღვარი!

* * *

მესხთა მხარემდე მივიდა
აბბაები გულის მომკვლელი,
რომ ნადგურდება ტტრის ხელით
სარფი — ლაზების სოფელი!
და გამოქანდა შინისკენ
ლაზი ოსტატი მალი,
მოდის და პაერს მოაპობს
პირგაბასრული ხმალით.
ნაპერწკლებს აჩენს შარაზე
მისი ფეხმარდის ნალი.



მოდის, — შემოხვდნენ ბავშვები
პირსახე ჩამომტირალი!
მოდის, — შემოხვდა მოხუცი
მწუხარე თვალით მზირალი. —
მერმე შემოხვდნენ ქალები
პირსახე ჩამოკაწრული:
— იყო, არ არის, ვაქაცო,
სარფი — სოფელი ლაზური!
ღამით, სულ მოულოდნელად,
როგორც ქურდი და ლაჩარი,
თურქთა ჯარები დაგვესხნენ
და გულში დაგვცეს ლახვარი...
აი მეხედე, იქ არის
დედა-შვილობის გამყოფი
უსწორ-მასწორო საზღვარი!
თავი ასწია ვაქაცმა
და თავს თვალით ხედავს:
აი, იქ არის წყალგაღმა
მისი ტიალი სახლ-კარი,
მისი და ძმანი, დედა.

ვერ აშორებდა მიდამოს
ბოღმით ანთებულ თვალებს
და ისწრაფოდა, შვილები
მკერდში ჩაეკრა მალე.

* * *

ის ეზო, სადაც ოსტატებს
ედგათ ლამაზი ოდა.
დიდი მეწყერი მოვიდა,
ზღვაში ჩახერგა ლოდად...

ხანი გავიდა... იმ ლოდზე
ხე ამოვიდა სამი;
ერთი შუაში დამდგარა,
ხარობენ როგორც ძმანი!

როცა ავდება შავი ზღვა,
აშლის ტალღების ფარას,
ტოტებს გადმოშლის მაღალი
და უმცროს ძმებს იფარავს...

ხის ძირში სხედან პირქუშად,
ისმის ქართული ნანა.
ბავშვი კითხულობს: — დედილო,
მალე ჩამოვა მამა?
— კი შვილო, მზე რომ ამოვა,
მაშინ მოგივა მამა

პიონერული რაზმის შეკრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერული რაზმის შეკრება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბავშვთა კომუნისტური აღზრდის საქმეს. იგი აღვივებს ბავშვებში შემოქმედებით ინიციატივას, აქტიურობას, ენერგიას პიონერებში კოლექტივიზმის გრძნობას.

პიონერთა რაზმის შეკრება, როგორც წესი, ხდება თვეში არა ნაკლებ ერთხელ. მისი მომზადება და ჩატარება თხოულობს პიონერ ხელმძღვანელიდან და მთელი პიონერული აქტივიდან დაკვირვებულ მუშაობას.

შეკრების მომზადებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა რაზმის საბჭომ განსაზღვროს შეკრების თემა, მისი ჩატარების დრო, ადგილი და შეადგინოს შეკრების მოსამზადებელი მუშაობის გეგმა (პროგრამა).

აღნიშნული გეგმა (პროგრამა) ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ ყველა პიონერი ჩაებას რაზმის შეკრებისათვის წარმოებულ მოსამზადებელ მუშაობაში.

ასე მაგალითად: რაზმის საბჭომ რაზმის მომავალი შეკრების თემად შეარჩია საკითხი „დიდი სტალინის ბავშვობა და ყრმობა". მისი ჩატარების დროდ განსაზღვრა 1947 წლის 21 დეკემბერი, ხოლო შეკრების ადგილად სკოლის დარბაზი. ამავე საბჭოს შეკრებაზე სდგება რაზმის მომზადებისათვის, წარმოებულ მუშაობისათვის გეგმა (პროგრამა).

აი, მაგალითისათვის რაზმის შეკრების მომზადების ტიპიური გეგმა (პროგრამა).

ქ. თბილისის ვაჟთა 1-ლი სკოლის მე-3ე რაზმის შეკრების მომზადების გეგმა (პროგრამა).

შეკრების თემა: „დიდი სტალინის ბავშვობა და ყრმობა". შეკრების დრო—1947 წლის 21 დეკემბერი, შეკრების ადგილი სკოლის დარბაზი.

დავალების შინაარსი	ვის დაევალა
1. შეკრების ადგილის გაფორმება დიდი სტალინის ბავშვობისა და ყრმობის ამსახველი სურათებით და ლოზუნგებით.	II რგოლს
2. სკოლის დირექტორთან მოლაპარაკება „სტალინის ბავშვობისა და ყრმობის შესახებ" რაზმის შეკრებაზე საუბრის ჩატარებისათვის.	საბჭოს თავმჯდომარეს
3. დიდი სტალინის „ბავშვობისა და ყრმობის" ამსახველი ალბომის დამზადება.	I რგოლს
4. დიდ სტალინზე დაწერილ ლექსების, სიმღერების შესწავლა.	III და IV რგოლს
5. შეკრების დღისათვის სპეციალური კედლის გაზეთის გამოშვება.	კედლის გაზეთის რედაქტორს
6. ექსკურსიის მოწყობა ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში.	საბჭოს თავმჯდომარეს
7. დ. კასრაძის მოთხრობის „პატარა სოსოს" და ჰ. კაპანაძის მოგონების „ბელადის ბავშვობა და ყრმობა" წაკითხვა რგოლებში.	ყველა რგოლის ხელმძღვანელს
	და ასე შემდეგ..

როგორც ამ გეგმიდან ჩანს, რაზმის შეკრების მთელი მოსამზადებელი მუშაობის სიმძიმე აწვება რგოლებს. რაზმის საბჭო მოვალეა ძიიღოს მხედველობაში რგოლების სურვილები იმის შესახებ, თუ რა უნდათ გააკეთონ მათ რაზმის შეკრებისათვის.

რგოლის ხელმძღვანელები, რომლებმაც მიიღეს დავალებები რაზმის საბჭოდან შეკრების სამზადისისათვის, ჩასატარებელი მუშაობის შესახებ აცნობენ თავიანთ პიონერებს რგოლში და ისინიც ანაწილებენ მუშაობას ურთიერთ შორის.

მაგალითად: 1-მა რგოლმა მიიღო დავალება დამზადოს ალბომი „სტალინის ბავშვობისა და ყრმობის" შესახებ. რგოლის ხელმძღვანელი რგოლის წევრებს აძლევს ცალკეულ დავალებებს — ერთ პიონერს დაევალება ალბომის მოტანა, მეორეს სურათების შეეძინა, მესამეს წარწერების გაკეთება, მეოთხეს სურათების ჩაკვრა და ასე შემდეგ... რგოლის წევრებს შორის დავალებების ანალოგიური დანაწილება ხდება რაზმის სხვა რგოლებში.

ამრიგად, ყველა პიონერს აქვს მიცემული გარკვეული დავალება და ყველა, როგორც ერთი, ემზადება შეკრებისათვის. ამ პერიოდში რგოლებს შორის უნდა იყოს შეჯიბრება — რომელი რგოლი უკეთ შეასრულებს რაზმის საბჭოს დავალებას.

დადგა შეკრების დღე.

რაზმი იკრიბება წინასწარ განსაზღვრულ ადგილას და ზუსტად დანიშნულ დროს. რაზმის საბჭოს თავმჯდომარე იძლევა განკარგულებას.

— რაზმო, ხაზზე დადექ!

ყველა რგოლები დგებიან რაზმის ხაზზე, მარჯვენა ფრთაზე დგება პიონერი, რაზმის ალმით, მედოლე და მესაყვირე, შემდეგ პირველი რგოლი და მის შემდეგ დანარჩენები.

რაზმის საბჭოს თავმჯდომარე იძლევა განკარგულებას:

— რგოლებო, მოემზადეთ პატაკისათვის! პირველი რგოლის ხელმძღვანელმა ჩამბაროს პატაკი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი რგოლის ხელმძღვანელი გამოდის მწყობრიდან, აძლევს განკარგულებას თავის რგოლს: — „რგოლო სმენა!“ და უახლოვდება საბჭოს თავმჯდომარეს, იღებს სალამს და აბარებს პატაკს.

პატაკის შინაარსი ასეთია:

„პირველ რგოლში 10 პიონერია. შეკრებას არ ესწრება პიონერი ხარაბაძე, ავადმყოფობის გამო. რგოლი მზადაა შეკრებისათვის!“

როდესაც ყველა რგოლები ჩააბარებენ საბჭოს თავმჯდომარეს პატაკს, საბჭოს თავმჯდომარე იძლევა განკარგულებას: — „სმენა!“ უახლოვდება რაზმის ხელმძღვანელს, იღებს სალამს და აბარებს პატაკს რაზმის მდგომარეობის შესახებ.

პატაკის შინაარსი ასეთია:

„ამხანაგო რაზმის ხელმძღვანელო! რაზმის შეკრებას ესწრება 35 პიონერი, არ ესწრება 2. რაზმი მზადაა შეკრებისათვის“.

ამის შემდეგ რაზმის ხელმძღვანელი პიონერებს აძლევს დევიზს:

— პიონერებო, ლენინ-სტალინის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!

პიონერები ერთხმად პასუხობენ:

— მზად ვართ!

— თავისუფლად! — იძლევა განკარგულებას პიონერხელმძღვანელი.

რაზმის საბჭოს თავმჯდომარე კითხულობს რაზმის შეკრების გეგმას და ეკითხება პიონერებს — ხომ არა აქვთ სხვა წინადადებები?

იწყება შეკრება.

შეკრება მოწვეული უნდა იქნეს გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, იმ დროისათვის, რომლის განმავლობაში პიონერებმა მოასწრონ სახლში წასვლა და დასვენება. შეკრება არ უნდა გაგრძელდეს 1½ საათზე მეტს. აღნიშნული დრო საჭიროა განაწილდეს ისე, რომ შეკრება არც კრებას ემსგავსოს და არც გართობად იქცეს.

აი, მაგალითად, შეკრების დროის განრიგი:

ხაზი—5 წუთი. საუბარი—35 წუთი (აქ შედის ჩვენი სამშობლოს მოწინავე ადამიანებთან შეხვედრები, მასწავლებლების, პიონერხელმძღვანელების საუბრები, პიონერთა გამოსვლები). მხატვრული თვითმოქმედებითი და სპორტული გამოსვლები 40-50 წუთი. ხაზი — 5 წუთი.

თუ შეკრება ტარდება დაბალი კლასის მოსწავლეთათვის, მაშინ საჭიროა შემცირდეს საუბრის დრო და გაიზარდოს თვითშემოქმედებითი ან სპორტული გამოსვლების დრო. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ რაზმის შეკრებაზე, როდესაც ხდება მოსწავლეთა მიღება პიონერთა რიგებში მცირდება საუბრის დრო და გამოიყოფა 15-20 წუთი პიონერორგანიზაციაში ბავშვთა მიღებისათვის.

პიონერთა შეკრებაზე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ბავშვთა თვითშემოქმედებით და სამხედრო-სპორტულ გამოსვლებს, რომელთა მრავალფეროვნად ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული თვით შეკრების შინაარსიანობა.

რაზმის შეკრების დამთავრებამდე რაზმის ხელმძღვანელი მოვალეა 2-3 წუთის განმავლობაში შეაჯამოს შეკრების შედეგები, აღნიშნოს თუ რომელი რგოლი უქეთ მოემზადა შეკრებისათვის, ვინ მოეკიდა უპასუხისმგებლოდ დაკისრებულ მოვალეობას და ასე შემდეგ...

შეკრების დამთავრებისათვის რაზმის საბჭოს თავმჯდომარე აწყობს რაზმს ხაზზე, რის შემდეგაც იღებს სალამს და მოახსენებს რაზმის ხელმძღვანელს:

— ამხანაგო რაზმის ხელმძღვანელო, შეკრება დამთავრდა.

რაზმის ხელმძღვანელი მიმართავს პიონერებს:

— ლენინ-სტალინის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!

პიონერები ერთხმად პასუხობენ:

— მზად ვართ!

— დაიშალეთ! — იძლევა განკარგულებას პიონერხელმძღვანელი.

ამით მთავრდება შეკრება.

ჩვენს მიერ ზემოაღნიშნული შეკრება არის რაზმის ტრადიციული შეკრება, მაგრამ შეკრების თემად შეიძლება აღებულ იქნეს სულ სხვადასხვა საკითხები; ასე მაგალითად: შეკრება შეიძლება მიეძღვნას ჩვენი სამშობლოს მოწინავე ადამიანებთან შეხვედრას, სამხედრო-ტურისტულ ლაშქრობას, საგამყოლო ომის ინვალიდის საკარმიდამო ნაკვეთზე მუშაობას და სხვ.

პიონერები სასწრაფო საკითხის გადასაწყვეტად იკრიბებიან მათ მიერ გეგმით გათვალისწინებული შეკრებების გარეშეც.

ყოველ რაზმის შეკრებაზე ისევე, როგორც რაზმის სხვა საინტერესო ღონისძიებების ჩატარების დროს, პიონერები სწერენ და აფორმებენ რაზმის დღიურს.

ოთარ ნემსაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალი ბოგოხიძე

ჩემს სოფელში

ჩემო სოფელო, სახლიკაცებო,
შევტრფი შრომაში თქვეს თავდადებას,
მოყვრის ქომაგნო, მტრის ზარდამცემნო,
არჩევნებისთვის გაქვთ დღეს მზადება.

აგიტპუნქტში ვარ, გული ნათლდება,
ამომრჩეველთა სიებს რომ ვსინჯავ;
— ბევრი მამაცი წელს გვემატება
სრულწლოვანიო, — მაუწყებთ დინჯად.

გაუტეხელი მოხუცი ბიძა,
როცა იგონებს განვლილ არჩევნებს,
ამბობს: — ხარობდა მაშინ ლევანიც.. —
და ჩუმად შვილის სურათს მაჩვენებს.

შვილიშვილს ვზრდიო დღეს შვილის
ნაცვლად,
არ ვწყენილი მაინც ბედს და გაჩენას
შვილის დაკარგვით წუხილის განცდამ
ვერ მომიდუნა მოხუცს მარჯვენა.

ჩემო სოფელო სახლიკაცებო,
შევტრფი შრომაში თქვენს თავდადებას,
მოყვრის ქომაგნო, მტრის ზარდამცემნო,
არჩევნებისთვის გაქვთ დღეს მზადება.

გიორგი შაგბერაშვილი

ზამთრის პირი

ზამთრის პირს მოვინახულე
ჩემი პატარა სოფელი,
ცეცხლით გამთბარი დარბაზი,
კერია ჩაუქრობელი.
ცეცხლსაც სიმღერა სცოდნია,
მოყმენო, ბანი უთხარით,
ზამთარიაო, გუგუნებს
აკვამლებული ბუხარი!
ეს ჩემი ბუხრის კვამლია,
ცისკენ რომ მიდის სვეტებად,
ხალისით ამღერებული
ტყვიისფერ ღრუბლებს ედება.
მთიდან ჩამოდის ზამთარი,
ჩამოთოვლილან ქედები,
ღრუბლებში შეცურებულან,
ვ'ით მარმარილოს გედები.
ტყეში ხმა ისმის ნაჯახის,
ეზოში მამლის ყივილი,
შიშველ ხეებზე შეფრინდნენ
ჩიტები ჟივილ-ხივილით.
იქნებ მათ ცელქი ბიჭების
გაიგეს გულის ნადები:
სკოლიდან დაბრუნებულებს
დაუდგამთ კაკანათები.
პატარა დღეა... ბინდდება
იძინებს ჩემი სოფელი.
იძინებს ყველა, მხოლოდ ეს
მარადის გაუქრობელი —
გუზგუზებს ჩემი კერია,
მასაც ჩემსავით უხარის,
ზამთარიაო, გუგუნებს,
გუგუნებს ჩემი ბუხარი.

ნინო ნაკაშიძე

ნახატები ბ. გიგოლაშვილისა

ისტორიული მოთხრობა *

IV

გავიდა რამდენიმე წელიწადი. თექვსმეტი წლის ივანე უფლისწული იზრდა ოთახში და თავის მასწავლებელს ელოდა. მასწავლებელი სილიბისტრო ხუცესი ღირსეულად შემოვიდა, დიდხანს იწერდა პირჯვარს, კუთხეში, ხატების წინ, შემდეგ მიუბრუნდა და დალოცა უფლისწული. ივანე თავაზიანად ადგა, მიეგება მას, მდაბალი სალამი მისცა და ხელზე ემთხვია.

მასწავლებელი და მოწაფე დასხდნენ და შეუდგნენ მეცადინეობას.

— აბა, მითხარი ზეპირად დიდი ექტენია.

ივანემ სწრაფად წარმოსთქვა ლოცვა...

ივანეს უყვარდა სილიბისტრო ხუცესი, რადგანაც მან ასწავლა საღმრთო წერილების კითხვა „გონიერებით“, ესე იგი, ყოველ წაკითხულ სიტყვაში აზრის მოძებნა. დიდი ინტერესით ითვისებდა უფლისწული ყოველ ცნობას დედამიწისა და ცის შესახებ. სილიბისტროსაგან გაიგო მან, რომ დედამიწა ბრტყელია და დგას სამი ვეშაპის ზურგზე, რომ ერუსალიმი არის ქვეყნიერების ჭიპი (ცენტრი)...

როცა გაკვეთილი დამთავრდა და სილიბისტრო ოთახიდან გავიდა, უფლისწული კარგახანს იდგა დაფიქრებული. მიუხედავად იმისა, რომ დიდი აზრი ჰქონდა სილიბისტროს მეცნიერების შესახებ, ამ უკანასკნელ დროს მის გულში რაღაც ეჭვები შეიპარა.

„ნუთუ ყველაფერი ძველი ასე უცვლელი უნდა დარჩეს, როგორც სილიბისტრო ამბობს? ნუთუ დედამიწა მართლა სამი ვეშაპის ზურგზეა შედგმული? ამბობენ წიგნებში ბევრი ახალი რამ სწერიაო“. ფიქრობდა უფლისწული. უცებ მოაგონდა ის ბიჭი, რომელმაც წიგნების კითხვა თავისთავად ისწავლა და წიგნების უკალმოდ წერის შესწავლაზე ოცნებობდა.

— გოლუბ,—დაიძახა ივანემ, — გოლუბი შემოვიდა და მოწიწებით გაჩერდა. — სად არის ის ბიჭი, ფეოდოროვი? მე ხომ გიბრძანე მოძებნე და მომიყვანე მეთქი!

— ვერსად ვერ ვიპოვნე, უფლისწულო, სადღაც გადაიკარგა უგზოუკლოდ.

— გადაიკარგა?! მაშ მომიყვანე ის გადამწერელი, რომელთანაც ბიჭი ცხოვრობდა.

— უფლისწულო, მე არ ვიცი სად ცხოვრობს... — გოლუბი შეყოყმანდა, მას გახსენდა შუისკის სიტყვები: „ეს მოჯალაბის ბიჭი არ გააკაკანოთ კრემლის სიახლოვეს, გადაკარგეთ სადმე, თორემ ყველას თავს გაგაგდებინებთო“.

გაუბედავად იდგა გოლუბი ერთ ადგილას.

უფლისწულმა წარბები შეიკრა და წამოდგა.

— გიბრძანებ, იპოვნე და მომიყვანე! ეძებე დღეს.... ხვალ...

შეშინებული გოლუბი უკან-უკან წავიდა და კარებში გავარდა.

ივანე უფლისწული ისევ დაჯდა და კარგახანს სდუმდა.

ამ დროს ოთახში ჩუმად შემოიპარა გამხდარი ბერიკაცი.

— უფლისწულო, — ჩურჩულით მოახსენა მან, — მოვიყვანე ის განდეგილი, შენ რომ მიბრძანე.

— ვასილი? — შესძახა გახარებულმა ივანემ.

— დიახ, სწორედ ის.

უფლისწულმა კარგახანია გაიჩინა ერთგული მოსამსახურე ბოიარებისაგან მიჩენილ ყმებისაგან. ეს იყო პატარა, მშვიდი ბერიკაცი პორფილე. პორფილემ თითქოს უფლისწულის ოთახის ფანჯარა გააღო და სუფთა ჰაერი შეუშვა: მასთან ფარულად მოჰყავდა ახალგაზრდა ვაჭრები, რომლებიც უამბობდნენ რუსეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს თეთრ ზღვამდის და ურალის მთებამდე. უამბობდნენ აგრეთვე გზაში შეხვედრილ მწირებისა და მოხეტიალე ფილოსოფოს ადამიანების შესახებ. პორფილეს მოჰყავდა ისეთი ადამიანებიც, რომლებიც საზღვარგარედაც იყვნენ ლიტვასა და ლივონიაში*) ჯვაროსან რაინდების სანახავად. მოჰყავდა მოგზაური გლახებიც.

* დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „პიონერის“ № 10-ში.

*) ლივონია-ლატვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე უფლისწული ხარბად უსმენდა ყველას. ისმენდა უცნობი მთებისა და ტრამალების ამბებს. უზარმაზარ ყინულების მოძრაობის შესახებ ზღვებში. ისმენდა უცხოეთის ხალხების ზნეჩვეულების ამბებს... მაგრამ ყველაზე უფრო ამ ხალხისაგან გებულობდა უფლისწული უსამართლობისა და ტანჯვის შესახებ, რასაც განიცდიდა მთელ რუსეთის მიწაზე მცხოვრები ხალხი ბოიარების წყალობით.

— გოლუბი სადღაც წავიდა, ბოიარებიც საღამომდე არ მობრძანდებიან. — განაგრძობდა პორფილი და ალერსიანად შესცქეროდა უფლისწულს, — მხოლოდ თუ თავადმა შუისკიმ გაიგო, სიკეთეს არ დამაყრის.

— შემოუშვი ჩქარა! — უთხრა უფლისწულმა.

— ახლავე! — მივიდა კართან, მოსული შემოუშვა და თვითონ კი ოთახიდან გავიდა. უფლისწული და შემოსული კაცი მარტონი დარჩნენ. ერთხანს ორივენი სდუმდნენ. უფლისწული აღელვებული შესცქეროდა მას.

მოსული კაცი იყო მაღალი, გამხდარი მოხუცი; ისე გამხდარი, თითქოს ტყავგადაკრული ჩონჩხი იდგა უფლისწულის წინაშე. ტანზე გრძელი ანაფორა ეცვა, რომელიც წელზე ღვედით ჰქონდა შემოჭერილი. ყოველ მის განძრევაზე თითქოს ძვლებს ჭახანი უნდა მოეღო. მაგრამ ამ ჩამომხმარი კაცის შავი, ფართო თვალებიდან რაღაც იდუმალი ცეცხლის შუქი გამოკრთოდა.

„ოო, ამნაირი სახეები მხოლოდ ხატებზე მინახავს“, — გაიფიქრა უფლისწულმა.

მოხუცმა სტუმარმა რამდენიმე ნაბიჯი წარსდგა წინ და წყნარად და გარკვევით წარმოსთქვა:

— რატომ დამიბარე, მეფევ?

უფლისწული სდუმდა.

მოხუცმა განაგრძო:

— დიდი ხანია ადამიანის სახე აღარ მინახავს. მოსკოვის ხანძრის შემდეგ არ გამოვსულვარ მზის სინათლეზე. ვცხოვრობ გამოქვაბულში, რომელიც მე თვითონ გავიკეთე და მძინავს კუბოში. შენმა მოსამსახურემ მითხრა, მეფე გეძახის, შენი ნახვა უნდა მარტოდ-მარტოს, ბოიარების დაუსწრებლადო, რა გნებავს?

— არავის არ დაუძახნია ჯერ ჩემთვის მეფე! — სთქვა ივანემ.

— მე გეძახი მეფეს... რუსეთის მეფევ. შენ უნდა ააშენო რუსი ხალხის ქვეყანა. შენ უნდა შეუმსუბუქო მწუხარება ხალხს და შემუსრო ბოიარების სიამაყე და ზვიადობა.

— ჰოი, განა შეეძლებ მე ამას, ნეტარო მოხუცო?!

— შესძლებ, თუ მოინდომებ. თუ მიენდობი შენს ხალხს... შენს ქვეყანას.

— უფრო გარკვევით მითხარი, მოხუცო. მითხარი ყველაფერი დაუფარავად. დაბრძანდი...

განდეგილი დაეშვა სკამლოგინზე და განაგრძო:

— რუსეთის მეფევ, ქვეყანაზე იყო ორი რომი. ქვეყნების მეთაური ჯერ იყო პირველი, ძველი რომი, მაგრამ ქვეყნად ითქვა ახალი სიტყვა, ახალი მოძღვრება... ძველმა რომმა არ მიიღო ახალი მოძღვრება და დაიღუპა... ამის შემდეგ მეორე რომად იქცა კონსტანტინეს ქალაქი — კონსტანტინოპოლი,*) მაგრამ დროთა განმავლობაში ისიც დაიღუპა უცხო, ბარბაროსულ ძალისაგან... და განა შეიძლება, მეფევ, ქვეყნიერება დარჩეს უთავოდ, უსინათლოდ? საჭიროა გაჩნდეს მესამე რომი!

ივანე უფლისწულს თვალები უბრწყინავდა.

ვასილი ადგა, გასწორდა წელში და ფანჯარაში გაიხედა.

— მოსკოვი უნდა იქცეს მესამე რომად! — წამოიძახა აღელვებულმა ივანემ.

მოხუცმა უფლისწულს შეხედა.

— ძნელია მოსკოვი გახდეს მესამე რომად! გამცემლებით სავსე და ხალხის მწუხარებით მოცული ჩვენი ქვეყანა...

* ახლანდელი სტამბული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

43 45

— უნდა გაიწმინდოს! — წარმოსთქვა ივანემ. — უნდა გაიწმინდოს! მაგრამ როგორ?

მოხუცმა ერთ წუთს დახარა თავი, შემდეგ ისევ ასწია, თვალები გაუფართოვდა და კიდევ უფრო აენთო.

— წამალი უშველის: რკინა... რასაც რკინა ვერ უშველის, უშველის სიკვდილი... უნდა ალაგმო და შემუსრო ბოიარების პარპაში.

უფლისწული დაემხო მუხლებზე განდეგილის წინ და დატკოცნა მას ხელები.

უცებ კარი გაიღო და მოულოდნელად შემოიჭრა შუისკი, მას ქაქანით მოსდევდა გოლუბი.

— ვის ესაუბრება მოსკოვის თავადი? — შეჰყვირა შუისკიმ.

ივანე სწრაფად წამოხტა სრულიად გაფითრებული. მისი გაფართოებული, ანთებული თვალები ცეცხლს აფრქვევდა.

— მე შენთვის მოსკოვის თავადი არ ვარ! — უფლისწული ერთ წუთს შეჩერდა და რისხვით განაგრძო: — მე ვარ მოსკოვის დიდი მთავარი... და მთელი რუსეთის მეფე! ვესაუბრები ვისაც და როდესაც მინდა... ახლა კი ვესაუბრებოდი განდეგილს — ვასილ ნეტარს...

ამ სახელის გაგონებამ თავზარი დასცა შუისკის. მდაბლად დაიხარა მოხუცის წინაშე.

—მაპატიე და მაკურთხე, მამაო!

— არ შემიძლია გაკურთხო, ბოიარინ! — უპასუხა განდეგილმა, — შენ და შენმა ავანჩავანებმა აავსეთ ცრემლითა და მწუხარებით ჩვენი ქვეყანა, თქვენი ძალადობითა და მტაცებლობით იტანჯება ხალხი! — მშვიდად წარმოსთქვა განდეგილმა და გავიდა ოთახიდან.

დარცხვენილმა შუისკიმ მიმართა ივანეს:

— რას გელაპარაკებოდა მოხუცი?

ივანემ არაფერი უპასუხა მას და უბრძანა გოლუბს:

— სილიბისტროს დამიძახე აქ! — და მიმართა შუისკის: — მე და სილიბისტრო შევიმუშავებთ დღეს ჩემი მეფედ კურთხევის წესს... დროა, ავიღო ხელში ჩემი ქვეყნის მართვა-გამგებლობა...

— უფლისწულო! — გააწყვეტინა შუისკიმ, — როგორ შეიძლება თუ შენმა თავადებმა და ბოიარებმა...

— ჩუმად, მონავ, ხმა გაიწყვიტე, — დაიყვირა ივანემ, — ნომ არ გინდა, ახლავე ვუბრძანო და ქოფაკებს დავაფლეთინო შენი თავი!

თავზარდაცემულმა შუისკიმ მოიხედა და დაინახა, რომ ყველა ის მოჯალაბენი, რომლებიც გუშინ მის წინაშე შიშით ძრწოდნენ, დღეს მზად იყვნენ ლუკმა-ლუკმად აეკიტნა ეს ამ „ბიჭის“ ბრძანებით. მთელი ტანით აცახცახდა, მიწამდის დაიხარა, თაყვანი სცა ივანეს და მორჩილებით წარმოსთქვა:

— როგორც შენი ნება იყოს, დიდო მეფევ!

V.

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ. მეფე ივანე, რომელსაც ახლა დიდ მეფეს და მრისხანეს ეძახდნენ, თვალებგაბრწყინვებული შეჰყურებდა უცხოეთიდან მოსულ სტუმარს. ეს სტუმარი როდი იყო ინგლისის მეფის ან რუსეთის ძველისძველი მტრის — პოლონეთის კაროლის ბატორის ელჩი... ეს იყო რუსი და იგი მორჩილებით აძლევდა სალამს დიდ მეფეს.

— კარგი, გეყოფა მეტანია, — უთხრა მას ალერსიანი ხმით ივანე მეფემ. მისი სახე ცხოვრებას დაეღარა და 'ბავ, დიდრონ თვალებში ღრმა ფიქრები დასადგურებულიყო. — ჰო, გეყოფა მეთქი მეტანია, ივანე ფეოდოროვ, იმისთვის შევძარი ქვეყანა უცხოეთში შენს მოსაძებნად, რომ შენი დახმარებით საქმე გავაკეთო. მიამბე, როგორ ცხოვრობდი უცხო მხარეში, როგორ ისწავლე წიგნის ბეჭდვა?

— იმ დღიდან, დიდებულო მეფევ, რა დღესაც შენ უკალმოდ დაწერილი უცხო ქვეყნის წიგნი მაჩვენე, სულ იმაზე ვფიქრობდი, როგორ მესწავლა მეც ეს ოსტატობა და ეს ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა. არ ვიცი, რამ ჩამაგონა და გადავწყვიტე წავსულიყავი უცხოეთში, მენახა, როგორ იწერებოდა წიგნი უკალმოდ... გადავწყვიტე და გავეპარე ჩემს ბატონს სერგის... წავედი. ბევრი ვიარე. რა არ გადავიტანე: სიცივე, შიმშილი. ძნელია სხვის ქვეყანაში ხეტიალი. ხალხი დამცინოდა, არაფერი არ მესმოდა იმათი, არც ენა, არც ზნეჩვეულება. მაგრამ მაინც ვცდილობდი მესწავლა...

— და ისწავლე?

— ვისწავლე, დიდებულო ხელმწიფევ, ვისწავლე... მივაღწიე ლიტვას, ქალაქ ოსტროგს. იქ თავადს კონსტანტინე ოსტროპისკის სლავურ წიგნების საბეჭდავი სტამბა ჰქონდა მოწყობილი. ჩემი მიღება სამუშაოზე არ უნდოდა, მაგრამ დიდი ხვეწნის და მუდარის შემდეგ მიმიღეს. ჯერ სხვადასხვა სამუშაოებს მაკეთებინებდნენ: შეშას ვაპობდი, წყალს ვეზიდებოდი, შემდეგ კი სტამბაშიც მამუშავეს და შევისწავლე ყველაფერი და განსაკუთრებით სლავური წიგნების ბეჭდვა.

— მაშ შენ აქ მომიწყობ სტამბას და რუსეთს მივცეთ მოსკოვში დაბეჭდილი წიგნი.

ბით. მათში განსაკუთრებით გამოირჩეოდა „ვასილი ნეტარის სობორო“.

— აი, ხედავ?—წარმოსთქვა მეფემ,—როგორი ძეგლი ავაგე ვასილი ნეტარის სამახსოვროდ... იცნობდი? გაგიგონია?

— ვის არ გაუგონია მისი სახელი, დიდო მეფევ!

— რამდენი წლის განმავლობაში იწვა იგი თავის ნებით საფლავში? ერთი ფიქრით იყო გამსჭვალული ძისი გონება, თუ როგორ შეიძლებოდა რუსეთის ხსნა. ამის სათქმელად

მე მინდა მოსკოვმა ბეჭდოს წიგნები, მინდა მოსკოვი მესამე რომი იყოს... არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა... დავიღალე, ივან ფეოდოროვ, დავიღალე. მართალია, ბევრი რამ გავაკეთე ჩემი ხალხისათვის, მაგრამ ბოლოდის ჯერ საქმე ვერ მივიყვანე. არ არის ჯერ მოსკოვი მესამე რომი — ქვეყნიერების ძეთაური.

— გახდება, დიდო მეფევ!

— ვიცი, რომ გახდება, მაგრამ ამისათვის კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. მინდოდა ზღვებთან მივსულიყავი და ჯერ ჩემი ხალხი ვერ გავიყვანე ვარიაგების ზღვამდე*)... იქნება მე ვერ შევძლო და ის მაქვს იმედად, რომ იქნება სხვამ, უფრო დიდმა ადამიანმა შესძლოს, იპოვოს სასწაულის ძომხდენი ძალა და მთელი რუსეთის ხალხი — დიდი და მცირე, მხარში ამოიყენოს და მაშინ... დიდი მოსკოვი გახდება მესამე რომი.

— ასე იქნება, დიდო მეფევ!

— იქნება, მხოლოდ როდის?... ახლა წავიდეთ იმ ადგილას, საიდანაც პირველად დაგინახე ყმაწვილობაში.

და ხელმწიფე და მბეჭდავი ავიდნენ კრემლის გალავანზე. ხელმწიფემ გაიშვირა ხელი:

— გაიხედე!

ფეოდოროვმა გაიხედა იქითკენ, საითაც ხელს იშვერდა მეფე. წინ იყო გადაშლილი დიდი ქალაქი თავის კოშკებით და ტაძრებით. ამ საფლავიდან, მოვიდა ჩემთან, თითქმის ბავშვთან... და, როდესაც მოკვდა, მე გამოვნახე რუსი ოსტატები და მის საფლავზე ავაშენებინე რუსული ტაძარი.

ივანე ფეოდოროვი აღტაცებით შესცქეროდა სობოროს გუმბათებს, რომლებიც ბრწყინავდნენ საღამოს მზის შუქზე.

— საუცხოვოა, — წარმოსთქვა მან, — მე არასდ არ მინახავს უცხოეთში ასეთი მშვენიერი ტაძარი. ამ ტაძრის მეტიც რომ არაფერი გაგეკეთებინა, დიდო მეფევ, ესეც საკმაო იქნებოდა...

— ეჰ, ძმავ, რა არის ერთი ტაძრის აშენება, როდესაც მთელი რუსეთი ასაშენებელია და უნდა აშენდეს... იქნება მე ვერ მოვახერხო, ვერ მოვესწრო მის ხილვას, მაგრამ მტკიცედ მწამს, რომ რუსეთი აყვავდება, მოსკოვი გახდება მესამე რომი და მეოთხე რომი არასოდეს არ იქნება!

— სწორედ ასე იქნება, დიდო ხელმწიფევ! — აღტაცებით წამოიძახა ივანე ფეოდოროვმა.

ხელმწიფე და მბეჭდავი კრემლის გალავნიდან გასცქეროდნენ მათ წინ გადაშლილ მაღალი სახლებითა და ხალხით სავსე ახმაურებულ ქალაქს.

საღამოს მზე, დიდი და ბრწყინვალე, ეშვებოდა შორს, ცის დასავალზე და თავის ალერსიან სხივებს აფრქვევდა მოსკოვის დიდებაზე ოცნებით გატაცებულ რუსეთის პირველ დიდ მეფეს ივანეს და პირველ დიდ მბეჭდავს ივანე ფეოდოროვს.

*) ვარიაგების ზღვა — ბალტიის ზღვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმონ ჯანაშია

ჩვენი ქვეყნის სასიქადულო მეცნიერი, აკადემიკოსი სიმონ ნიკოლოზის-ძე ჯანაშია დაიბადა 1900 წლის 18 ნოემბერს ცნობილი ქართველი პატრიოტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ ჯანაშიას ოჯახში.

ყრმობა სიმონ ჯანაშიამ ძველ სენაკში გაატარა. აქვე მიიღო მან პირველდაწყებითი განათლება. 1910-1918 წლებში იგი ცხოვრობდა და სწავლობდა სოხუმში.

სოხუმის რეალურ სასწავლებელში ნიჭიერმა მოწაფემ მასწავლებელთა განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა. საინტერესოა, რომ ბეჯითი მოსწავლის სიმონ ჯანაშიას სასკოლო წერითი ნამუშევარს აღტაცებულმა ერთმა გულისხმიერმა მასწავლებელმა ლათინურად მიაწერა: **„შრომის გზით მწვერვალებისაკენ“.**

1918 წელს სიმონ ჯანაშია ახლად გახსნილ თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ჩაირიცხა, სადაც წარმატებით სწავლობდა როგორც ისტორიულს, ასევე საენათმეცნიერო საგნებს.

სიბეჯითით, ცოდნითა და ნიჭით სიმონ ჯანაშიამ დიდი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის ყურადღება მიიქცია და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრასთან, საპროფესოროდ მოსამზადებლად.

სიმონ ჯანაშიამ გაამართლა სახელოვანი მასწავლებლის იმედები — 1935 წელს იგი ივ. ჯავახიშვილის შექმნილ საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ და პროფესორად იქნა მიწვეული, 1943 წელს კი სახელმოხვეჭილი მეცნიერი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

დიდი ქართველი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის სკოლაგავლილმა სიმონ ჯანაშიამ სანიმუშო მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა შეიძინა. მაგრამ იგი ამით როდი დაკმაყოფილდა. სიმონ ჯანაშია ასევე წარმატებით დაეუფლა სამეცნიერო-კვლევის მარქსისტულ მეთოდს. ყოველივე ამან შესაძლებლობა მისცა ახალგაზრდა მეცნიერს, 1932 წლიდან გამოქვეყნებულ მთელ რიგ შრომებში, მის დროზე არსებულ შეხედულებათაგან განსხვავებით, სრულიად ახლებურად დაესვა და გადაეწყვიტა საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

სიმონ ჯანაშიას მეცნიერული მუშაობის საგანი უმთავრესად საქართველოს ძველი ისტორია იყო. მან, მრავალმხრივი ფაქტიური მასალების მოშველებით, ნათელჰყო ჩვენი წინაპარი ტომების ნათესაური კავშირი წინაზიის უძველეს კულტურულ მოსახლეობასთან, გაარკვია ქართველ ტომთა განსახლება უძველეს ხანაში. ქართულ-უცხოურ წყაროებზე დამყარებული არა ერთი ნაშრომით ს. ჯანაშიამ გაარკვია, რომ ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის დამდეგისათვის ქართლის სამეფო სამხრეთისაკენ სწვდებოდა ჭოროხის ხეობის ქვემო წელსა და ჭანეთის მთებს. ასევე, მისი შრომებით, აღდგენილ იქნა ახალი წელთაღრიცხვის ქართლისა და ძველი კოლხეთის პოლიტიკური საზღვრები.

ძველი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის მეცნიერულმა შესწავლამ და სხვა საბუთებმა ქართული კულტურის მოამაგეს შესაძლებლობა მისცა (აკად. ნ. ბერძენიშვილთან ერთად), ქართველი ხალხის საწელით, ჩვენი მიწა-წყლის მომტაცებელ თურქეთისადმი კანონიერი პრეტენზიები წაეყენებია.

სიმონ ჯანაშიამ მყარ ნიადაგზე დააყენა საქართველოს ისტორიის არაერთი სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლის საქმეც. მან პირველმა მოგვცა ქართველ ტომთა საზოგადოებრივი წყობილების თანმიმდევრული მარქსისტული ახსნა.

სიმონ ჯანაშიამ თავის შრომებში „საქართველოს ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“, „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“, „არაბობა საქართველოში“ და სხვ. საკუთარი ახლებურად გადაწყვიტა ქართული სახელმწიფოებრივობის წარმოქმნის საკითხი; მან უჩვენა, რომ ქართულ სახელმწიფოს გაცილებით მეტი ხნის ისტორია აქვს, ვიდრე ეს დღემდე იყო წარმოდგენილი. მან ძველიერული დამაჯერებლობით ცხადჰყო ფეოდალური ურთიერთობისა და ფეოდალური იდეოლოგიის (ქრისტიანობის) გამარჯვების დრო და პირობები, არაბთა მფლობელობის დამყარება საქართველოში, ამ მფლობელობის რაობა, საადგილმამულო ურთიერთობა არაბთა მფლობელობის დროს და სხვ...

სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ს. ჯანაშიამ ქართველი ერის წარმოშობის სტალინურ გეგმას. ქართველი ხალხის წარსულიდან აღებული მრავალმხრივი კონკრეტული ფაქტების მიშველებით ს. ჯანაშიამ უჩვენა, რომ „ერი ყალიბდება მხოლოდ ხანგრძლივი და რეგულიარული ურთიერთკავშირის შედეგად, ადამიანთა ერთად ცხოვრების შედეგად, თაობიდან თაობამდე“ (ი. სტალინი).

სიმონ ჯანაშიას კალამს 50-ზე მეტი ნაშრომი ეკუთვნის წყაროთმცოდნეობის, ლიტერატურათმცოდნეობის, ენათმეცნიერებისა და არქეოლოგიის საკითხებზე.

საქართველოს ძველი ისტორიის ცალკეული საკითხების შესწავლისა და განზოგადოების შედეგი იყო მისი ვრცელი ნაშრომი „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან X საუკუნის დასასრულამდე“, დაწერილი „სსრკ ისტორიის“ თორმეტ ტომეულისათვის და ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის განუყრელი წიგნის „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს“ პირველი შვიდი თავი.

„საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს“ საბჭოთა კავშირის მეცნიერულმა საზოგადოებრივობამ მაღალი შეფასება მისცა და მას სტალინური პრემია მიენიჭა.

განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის სახელოვან მეცნიერს ქართული არქეოლოგიის შემდგომი განვითარების საქმეში. 1937 წელს ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით დაწყებული საქართველოს ძველი დედაქალაქის — მცხეთის არქეოლოგიური შესწავლა წარმატებით გაგრძელებული იქნა ს. ჯანაშიას უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით. სამთავრო-არმაზის[illegible] გენეზისში წარმოებულ არქეოლოგიური გათხრების დროს გამომზეურდა ჩვენი ქვეყნის უძველესი მდიდარი წარსული არა ერთი უბანი, მოპოვებულ იქნა მსოფლიო მნიშვნელობის განძები.

აკადემიკოსი ს. ჯანაშია იყო არა მარტო ბრწყინვალე მეცნიერი, არამედ მისაბაძი პედაგოგი, ახალგაზრდა თაობის საყვარელი ადამიანი.

სიმონ ჯანაშიას მოღვაწეობა ქართული საბჭოთა მეცნიერებისათვის სხვა მხრივაც მნიშვნელოვანი იყო. ის, როგორც საქმის ორგანიზაციის განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული, მრავალმხრივ მონაწილეობდა სოციალისტური სამშობლოს ეროვნული კულტურის აყვავების საქმეში. მან დიდი შრომა და ენერგია მოახმარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შექმნას, მის განმტკიცებასა და განვითარებას.

1936 წლიდან სიმონ ჯანაშია სათავეში ედგა ქართველი ხალხის საამაყო შვილის **ლ. პ. ბერიას** ინიციატივითა და უშუალო მითითებებით შექმნილ დიდ სამეცნიერო დაწესებულებას — აკადემიკოს ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტს.

გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადოებრივი მებრძოლის აკად. სიმონ ჯანაშიას მრავალმხრივი ნაყოფიერი მოღვაწეობა საბჭოთა სამშობლომ შესაფერისად დააფასა. საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა იგი საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს დეპუტატად აირჩია, ხოლო საბჭოთა მთავრობამ სიმონ ჯანაშია ორგზის ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით დააჯილდოვა. 1943 წელს, მეცნიერულ მუშაობაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, სიმონ ჯანაშიას მიენიჭა უმაღლესი ჯილდო — პირველი ხარისხის სტალინური პრემია. ხოლო 1947 წელს მას კვლავ მიენიჭა სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო სახელი.

აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია გარდაიცვალა 1947 წლის 15 ნოემბერს.

ადრე შეწყდა დიდი მეცნიერის, მგზნებარე პატრიოტისა და საზოგადოებრივი მებრძოლის შესანიშნავი სიცოცხლე.

მისი ნეშტი დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ზოთა მესხია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიზბარ ზედგინიძე

ინგილო ბავშვები

ათი წლისა ვიყავი, როდესაც პირველად გავიგე ინგილოთა არსებობა. მაშინ წავიკითხე იაკობ გოგებაშვილის პატარა მოთხრობა „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი". პირველად ამ მოთხრობამ შემაყვარა ინგილოები. შორეული წარსულის ამბავი საამურ ზღაპარივით ჩამრჩა გულში. ენატრობდი მენახა საინგილო, ინგილოები— ჩვენი ძმები...

მას შემდეგ ოცდაათ წელზე მეტი გავიდა... და ბავშვობის დროის ნატვრა ამისრულდა: წელს მომიხდა საინგილოში მოგზაურობა.

ბუნების სიმშვენიერით ძლიერ გვანან ერთმანეთს კახეთი და საინგილო. თუმცა საინგილო აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა, კახეთში ძაინც ხშირად უწოდებენ მას კახეთის გალმა მხარესაც... ალაზანს ერთი მხრიდან ინგილოები დასცქერიან, მეორე მხრიდან კახელები. კავკასიონის ქედისაგან წარმოშობილი მისი მთების კალთებიც წაბლის, მუხის, კაკლის, ცაცხვის, წიფელის უფრანი ტყეებით არის დაფარული. მჭუხარე ჩანჩქერები, მაღლობებში თეთრად აქაფებული, ხოლო დაბლობებში ფართო რიყეებად გადაშლილი, უხვად რწყავენ ამ კუთხეს.

მდიდარი და ნოყიერია საინგილოს ნიადაგი. აქ ხარობს პური, სიმინდი, ქერი, ბრინჯი, თამბაქო, ბოსტნეული, ვაზი. ყველგან გვხვდება თხილისა და კაკლის ტყეები. ძველად საინგილოში ისევე უხვად იყო ვაზი, როგორც დღეს კახეთშია, მაგრამ 17-ე საუკუნეში, სპარსელთა შემოსევის დროს, შაჰ-აბაზმა, დიდმა მტარვალმა, ძირფესვიანად ამოაგლეჯინა ვაზი. ქართველები უღვინოთ ვერ გასძლებენო და გადაშენდებიანო. შაჰ-აბაზის ურდოებმა მუსრი გაავლეს ხალხს, ბევრი აჰყარეს, ტყვედ წაიყვანეს და შემდეგ შესულტებულ, უილაჯო მხარეში თანდათან ჩამოსახლდნენ დაღისტნელი ლეკები.

მაგრამ ეს ყველაფერი წარსულია, მძიმედ მოსაგონარი. აწმყო და მომავალი კარგი აქვს საინგილოს. ამ აწმყოზე, ინგილო ბავშვებზე მინდა გესაუბროთ...

* * *

დაბა კახი დღეს საინგილოს გულს წარმოადგენს. უმთავრესად კახში და მის ახლომახლო სოფლებში მოსახლეობენ ინგილოები. ყველა ამ სოფლებში გახსნილია ქართული სკოლა. მაგრამ ვიდრე იქ ქართული სკოლები ასე მასობრივად გაიხსნებოდა, ინგილოები ჩამორჩენილი იყვნენ. ბავშვებს სკოლაში ესმოდათ აზერბაიჯანული ენა და თვითონ კი ლაპარაკობდნენ ინგილოურად, რომელიც ქართული ენისაგან სიძველითა და განუვითარებლობით განსხვავდება. მშობლები შვილებს არქმევდნენ სახელებს, რასაც ყურს მოჰკრავდნენ. მე შემხვდა რამდენიმე ბავშვი, რომელთაც ერქვათ რაიონი, იაპონია, ლეიტენანტი, რესტიკო, მაგრამ როდესაც ისინი სკოლაში შევიდნენ და განვითარდნენ, თავიდან მოიშორეს ეს საძაცილო სახელები და დაირქვეს უფრო შესაფერი.

კახის საშუალო სკოლის მესამე კლასში სწავლობს ვაჟა თამაზაშვილი. სკოლაში შესვლის დროს მას „რაიონი" ერქვა. ვაჟამ თანდათანობით შეიგნო თავისი სახელის შეუფერებლობა და აი, ერთ გაკვეთილზე, როდესაც ბავშვები სწავლობდნენ ვაჟა-ფშაველას „ვლის ნუკრის ნამბობს", დარცხვენილი წამოდგა ეს ბავშვი და მასწავლებელს სთხოვა:

— ამ მოთხრობამ ძლიერ შემაყვარა დიდი ქართველი პოეტი ვაჟა-ფშაველა, არ შეიძლება, მასწავლებელო, მე „რაიონი" აღარ მერქვას და ვაჟა მიწოდოთ ხოლმე?

მისი თხოვნა იმავე დღიდან შესრულებულ იქნა. მას უკვე ვაჟა დაერქვა. ასევე ითხოვა რესტიკო ოთარაშვილმა. მან თანდათან შეიგნო, რომ არაფერს წარმოადგენდა სახელი რესტიკო და ითხოვა, რევაზი ეწოდებინათ. საგულისხმოა აგრეთვე ბენევშა ბოლოღაშვილის სახელის შეცვლა. როდესაც ბენევშა სკოლაში მოვიდა, „დედაენის" სწავლა დაიწყო. პირველი სიტყვა, რომელიც მან წაკითხა იყო „ია". შემდეგ მას მოუხდა ვაჟას ლექსის სწავლა —

„იას ბნელ ხევში მოსულსა,
დიდი ჭანდარი ჰფარავდა"...

ამ ლექსმა უფრო შეაყვარა გოგონას ორბგერიოვანი ქართული სიტყვა ია. მან ჯერგა ხანს იფიქრა, რატომ არ შეიძლებოდა რქმეოდა მას ია? მით უმეტეს — ბენევშა

აზერბაიჯანულად იას ნიშნავს. ბენევშამაც ითხოვა ია ეწოდებინათ მისთვის და უწოდეს კიდეც.

ინგილოელ ბავშვებს უძნელდებოდათ ქუდის მოხდა. ეს შესისხლხორცებული ჰქონდათ ლეკთაგან, რომლებთანაც სამასი წლის განმავლობაში მეზობლობენ ინგილოები. სკოლაში თავდაპირველად ბავშვები ქუდმოუხდელნი შედიოდნენ. ახლა უკვე პირველი კლასელი მოსწავლეც იხდის ქუდს, და თუ ქუჩაში შეგხვდებიან, სალამთან ერთად, უსათუოდ ქუდსაც მოგიხდიან.

შაჰ-აბაზის შემოსევიდან მოკიდებული, სამასი წლის განმავლობაში ინგილოები, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, გარდა სოციალურისა — ეროვნულ ჩაგვრასაც განიცდიდნენ. ამ დროის განმავლობაში გადატანილმა მწუხარებამ გადაავიწყა მათ ქართული სიმღერები, ქართული ცეკვები. მაგრამ სკოლამ ბავშვებში გააღვიძა მშობლიური სიმღერებისადმი სიყვარული და მისწრაფება.

ახლა მათი სიმღერებით, ლეკურისა და დავლურის თამაშით არ შეიძლება, კმაყოფილება არ იგრძნონ.

წელს ზაფხულზე კახის საშუალო სკოლამ სასწავლო წლის დამთავრების აღსანიშნავად საღამო გამართა. მასწავლებლებმა: ეკატერინე ბლუაშვილმა, მილია გავრილიდმ და ელენე ბოლოღაშვილმა ბავშვები კარგად მოამზადეს. საღამოს დაესწრნენ კოლმეურნენი, უმთავრესად მოსწავლეთა მშობლები.

ამ საღამოზე ბავშვთა ერთი ჯგუფი ტაბლად გასძახოდა:

„დაუკარ ჩემო ჩონგურო,
ნაზო და ტკბილო ხმიანო“,

მეორენი ცეკვავდნენ და ზოგნი კიდევ სიყვარულით ამბობდნენ სტალინისადმი მიძღვნილ ქართველი პოეტების ლექსებს.

მშობლებმა ვერ იცნეს თავიანთი შვილები. არ ეგონათ თუ ასეთი ნიჭისა და უნარის გამოჩენა შეეძლოთ მათ ბავშვებს. აი, ამ პატარა მერცხლებმა, თავიანთ ოჯახში მშობლებთან შეიტანეს და შეაქვთ ქართული სიტყვა, ქართული წიგნი. ქართული სიმღერა და მისწრაფება ცოდნისაკენ. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ უკვე მოზრდილი ბავშვებიც სკოლას ეტანებიან.

კახის საშუალო სკოლაში პიონერული ორგანიზაცია კარგად მუშაობს. იქ ამჟამად სულ 167 პიონერია და 82 ოქტომბრელი. მათ აქვთ ცალკე დარბაზი. პიონერულ რაზმებსა და რგოლებს წარჩინებული მოსწავლენი ხელმძღვანელობენ.

პიონერთა დარბაზში, ბავშვთა ნიჭისა და მოვლინების მიზნით, მოწყობილია [illegible] სხვა კუთხე, აქ გამოფენილია მოწაფე გოგონების მოქსოვილი ჭრელი, ორმაგი ნაქსოვი ინგილოური წინდები, ქალის ახალუხი, რომელიც წინსაფარს ჰგავს, ინგილოური ქალის შარვალი, მათი კუთხური ტანსაცმელი, რომელსაც მუქასარს უწოდებენ, მრავალი სხვადასხვა ნაქარგი ოქრომკედითა და ფერადი ძაფებით. აქვე გამოფენილია მოწაფე ვაჟების მიერ გაკეთებული მუსიკალური საკრავები, ურმების, მაგიდების, ტყვიამფრქვევების, თვითმფრინავების მაკეტები. ჩამოყალიბებულია მომღერალთა და მოცეკვავეთა გუნდები და ლიტერატურული და საქადრაკო წრეები.

როგორი არიან გარეგნულად ინგილო ბავშვები? აი, ნელი ბაირამაშვილი. მას ნუშის მოყვანილობის თვალები აქვს. ზავი, გრძელი წარბ-წამწამი და შავივე თმა. იგი ტანწვრილი და მაღალია. ათი წლისაა, მკერდზე პიონერის სამკერდე ნიშანი აქვს და წითელი პიონერული ყელსახვევი ამშვენებს მის შავგვრემან სახეს.

ბაირამაშვილი ხუთოსანია. ძალიან უყვარს წიგნების კითხვა. წაკითხული აქვს „ბიძია თომას ქოხი“, „მაუგლი“, „მამამ გამომგზავნა“ და ეურნალ „ოქტომბრელის“ ყველა ნომერი.

ორი წელიწადია ზედიზედ იღებს მონაწილეობას აზერბაიჯანის ბავშვთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაში. ორჯერვე დაჯილდოვეს ნიჭიერი ბავშვი.

მეორე ინგილო გოგონა, ეფემია ბულულაშვილი, მეოთხე კლასშია. მისი მშობლები გიორგი და ანასტა სოფელ მთისძირის კოლმეურნეობის წევრები არიან. ეფემია ტანად პატარაა, ცქრიალა, ეშხიანი, შავთვალწარბა. ატარებს მოკლედ შეკრეჭილ თმას. მისი ნიშნები ოთხებია. ეს ცქრიალა გოგონა შესანიშნავად ცეკვავს ლეკურს.

სწავლის წარჩინებულები არიან: თეოდო ყულაშვილი, თამარ პაპიაშვილი, ნათელა ტარტარაშვილი, ზურაბ პაპიაშვილი. ეს უკანასკნელი სამჯერ მონაწილეობდა ბაქოში გამართულ ბავშვთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე და სამჯერვე დაჯილდოვეს.

მე მხოლოდ ერთეულები ჩამოვთვალე, მაგრამ საინგილოში ასობით ნიჭიერი ბავშვი იზრდება — დიდი სტალინის სიყვარულით გონებაგახსნილნი, ჩვენი დიდი სამშობლოს უანგარო პატრიოტები.

პოეტის ბავშვობა

ეპიზოდი გიორგი ქუჩიშვილის ცხოვრებიდან

ელენ კეიმ მეცხრამეტე საუკუნეს ბავშვთა ოქროს საუკუნე უწოდა.

შეძლებული კლასისათვის იგი მართლაც ოქროსი იყო.

ჩვენთვის კი — ღარიბ-ღატაკთათვის, იგი გაცვეთილი, დაყანგებული თუნუქის საუკუნეც არ ყოფილა. ავმა ბედმა გადაგვთქერა, ყველა ჩვენ გვიბრიყვებდა.

ვარამმა დაგვხაშმა, ქლექით დაავადებულმა მამამ დიდხანს იავადა, იშავდღევა და გარდაიცვალა. დედა სისხამ დილიდანვე სამუშაოდ შორითშორს მიდიოდა. ხშირ ბინდისას ბრუნდებოდა.

უპატრონოდ ვეყარენით შინ.

ვაიეგალახით ვიზრდებოდით.

ამ დროს მოულოდნელად კარზე მოგვადგა ქალაქიდან საზაფხულოდ ჩამოსული მოხელის ცოლი მაშო ლოპატო.

უცხვირპირო რამ იყო. ბრტყელი, ჭორფლიანი სახე და ნაფოტა კბილები ჰქონდა.

შეუჩნდა დედას, შემპარავი ენით დაუწყო:

— შვილები ამ ყრუ სოფელში შიშველი დაგრჩება. გამატანე შენი შვილი გიორგი ქალაქში, ღვიძლ შვილივით მოვუვლი, სკოლაში მივაბარებ, ვასწავლი, კაცად ვაქცევ, „ჩინოვნიკობამდის“ მივაღწევინებ...

გიორგის გული რომ მოეგო, დაიწყო მისი ქება:

— რა ცქვიტია! რა ჭკვიანი თვალები აქვს! ძნელი დასაჯერებელია, რომ რვა წლისა იყოს. უფრო მოზრდილი მოსჩანს. როგორ მიყვარს ბავშვები... ამას ხომ სულში ჩავიძვრენ.

თავისი სიტყვებისათვის მეტი დამაჯერებლობა რომ მიეცა, გიორგი კიდევაც გადაკოცნა.

დედა ფრთხილი იყო, ემძიმებოდა პატარა გიორგის კალთიდან მოგლეჯა, მაგრამ მისი ბედნიერი მომავალი, მაშო ლოპატის მიერ დახატული, ისე საიმედოდ ეჩვენა, რომ გადასწყვიტა გაეყოლებინა მაშოსათვის გიორგი ქალაქს.

გიორგი საცოდავად აიჩეჩა, თვალზე ცრემლი მოადგა, მაგრამ დედის ხათრით არაფერი უთქვამს.

გასტუმრების დღეც მოახლოვდა. დედამ კოკლუა და კვერები გამოუცხო. ბებიამ გიორგისათვის დაწყებული ჭრელი წინდების ქსოვა დაამთავრა... აგერ დილიკანმაც ჩამოიქროლა.

დედას მწუხარება დაეტყო.

გიორგი ატირდა.

ბებია ღმერთს ავედრებდა გიორგის.

აქით მე ვსლუკუნებდი, იქით ბაგრატი სულ ომცროსი ძმა, მხოლოდ ნიკო, უფროსი ძმის—ლევანის მომდევნო, იმაგრებდა თავს.

დილიკანი დაიძრა.

გიორგი სულ უკან იყურებოდა, თვალს ვერ აშორებდა საყვარელ სოფელს.

* * *

თბილისში მალე გაუცრუვდა გიორგის იმედები.

მაშო ლოპატო ავკუნებიანი აღმოჩნდა. სრულიად გადაივიწყა დედისათვის მიცემული დაპირება.

ლოგინად დაძონძილი ნაბდის ნაგლეჯი მიუგდო გიორგის.

უმოწყალოდ ამუშავებდა, თან საყვედურით იკლებდა. ბევრჯერ აუწვა ფლოსტით თავპირი. იმდენს სცემდა, თითქოს გიორგი ბავშვი კი არ ყოფილიყო, არამედ უგრძნობი თოჯინა.

როცა გიორგი დილით გაიღვიძებდა, ში-

შით ფიქრობდა, დღეს რამდენი მუშტი მომხვდებაო.

შიმშილით მაინც არ დაეტანჯათ! პურის ნარჩენებს ძლივს იმეტებდნენ მისთვის.

გიორგის მოვალეობას შეადგენდა: ადრე ამდგარიყო და ოთახები დაელაგებინა; ყველას ფეხსაცმელი დაეკრიალებინა; ქალბატონს ვაყოლოდა ბაზარში სანოვაგის წამოსაღებად: „სამოვარი“ დაედგა დილა-საღამოს; ჭურჭელი ერეცხა; ეზიდნა წყალი, დაეჭრა და დაეპო შეშა და ლალობა გაეწია ქალბატონის ჭირვეული შვილებისათვის.

გიორგი თუმცა ხათრიანი იყო, მაინც ვერ შესძლო ამდენი საქმის შესრულება და გამოუტყდა ქალბატონს, მაგრამ ვინ იყო გამკითხველი!

დაჩიავდა საბრალო ბავშვი, მწარედ დაღონებული ოცნებობდა თავის სოფელ ვარდისუბანზე, დედიკოზე, ბებიაზე, ძმებზე...

გიორგი რამდენჯერმე შეემუდარა ქალბატონს ესწავლებინათ მისთვის წერა-კითხვა, მაგრამ გიორგის ხვეწნა ქალბატონის ყურს არ გაკარებია.

— აკი დედას დაპირდით ვასწავლიო! — გაახსენა გიორგიმ.

— შენმა სიცოცხლემ! — ქოქოლას დაყრით შეაწყვეტინა საყვედური ქალბატონმა.

ერთხელ ვიღაც სტუმარმა ათი შაური აჩუქა გიორგის. ბავშვმა მაშინვე „დედაინა“ იყიდა. როცა თავისუფალ დროს იხილთებდა, გადაშლიდა წიგნს და მასში მოთავსებული სურათების დახმარებით ცდილობდა ანბანი შეესწავლა.

მალე ამას თვალი მოჰკრა ქალბატონმა.

გაიცინცხლდა. გამოგლიჯა ხელიდან წიგნი და ანთებულ ღუმელში შეაგდო.

— ვაიმი, დედავ!? — წაიქვითინა გიორგიმ, მაგრამ წიგნი ვეღარ გადაარჩინა.

* * *

გიორგიმ არ იცოდა, როგორ გაეგებინებინა დედისათვის თავისი სევგლახე.

დედიკოს კი ჭვონია ბედი ეწვია. ვინმემ მაინც დაწეროს წერილი! არავინ გამოეჩნდა გულშემატკივარი.

ერთხელ გაიპარა კიდეც.

მილასლასებდა ქუჩა-ქუჩა. გამვლელ-გამომვლელს აკვირდებოდა: ეგებ აღმოჩნდის მათ შორის ვინმე სათნო, ახოთის სადგურს მიმავანებინოს და ბილეთი შემძინოსო. მაგრამ ასეთი არავინ აღმოჩენილა.

ქალბატონმა მალე გაიგო გიორგის გაპარვა. აკი დაიდინა და დააბრუნა.

გიორგი შიმშილისაგან ძლივს მიათრევდა ფეხებს.

— სად დაეხეტები, ვაებატონო?—დაუტატანა მაშომ და საგოდავი გიორგი ლუგუნით სახლში შეაგდო.

* * *

გიორგი ჭკნებოდა, ვაივაგლახით მიბობოდა მისი ცხოვრება.

ამასობაში გაზაფხულმაც მოატანა.

ქალბატონმა გადასწყვიტა კახეთში წაეყვანა შვილები სააგარაკოდ.

გიორგის ჩაწყვდიადებულ ცხოვრებაში იმედის შუქი აციაგდა: იქნებ ახლა დავალწიო თავი საშინელ ტყვეობასო, — ფიქრობდა იგი.

ქალბატონმა დედაჩვენის თვალების ასამბლელად სახელდახელოდ შემოსა გიორგი.

უყიდა ჩითის უბრალო ხალათი, ტილოს ხვლიკისფერი შარვალი, სიფრიფანა ჩუსტები.

* * *

აი, დადგა ნანატრი დღე.

გიორგი დილიენის კოფოზე წამოჯდა. ბედნიერად, მხნედ იგრძნო თავი.

უნდოდა გაესწრო დილიენისათვის, გული ლამობდა მერცხალივით ამოფრენას და ჭიკჭიკს.

თეთრწყლებთან რომ მივიდნენ, ლეგა ორუბლებით ცა დაიფარა. კოკისპირული წვიმა დაასხა.

წვიმა გიორგის სახეში სცემდა. ბავშვი გაილუმპა, ამოვიდგა...

ცოტა ხნის შემდეგ გამოიდარა, ცამ ორუბლები გადაიყარა. გიორგიც გამზიარულდა.

აი, დილიანი გაჩერდა შუა მთის წყაროსთან.

ვაქაცის მკლავის სისხო ნაკადი გადმოსჩქეფს ჩქაფა-ჩქუფით. ყინულივით ცივი. კაცს სულაც რომ არ წყურიდეს, მაინც ხარირემივით დაეწაფება.

გიორგი დიდის ძუძუსავით დაეწაფა მას. მოიკლა წყურვილი და მაინც არ შორდებოდა.

მოხიბლული დაჰყურებდა.

მალე მგზავრები დილიანში ჩასხდნენ.

გიორგი დარჩებოდა, მეეტლეს რომ არ გახსენებოდა.

* * *

დილიანი თავდაღმართზე დაეშვა. გიორგი თითქმის შინ იყო მისული და უკვირდა მაინც რატომ არ მოსჩანდა თავისი ვარდისუბანი?

მეეტლეს წარამარა ეკითხებოდა:

— ძია, რა იქნა ჩემი სოფელი?

— აბერ შენი ვარდისუბანი!—დაანახვა მეეტლემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩნდნენ მთის ფერდობზე მერცხლის ბუდესავით მიკრული ქოხები.

გიორგიმ ქუდი მოიხადა და ყველაფერს აღტაცებით სალამს აძლევდა...

ცხენები ზანზალაკების ჟღარუნით შეიჭრნენ სოფელში.

მაშომ დილიჟანი ჩვენი ქოხის პირდაპირ გააჩერებინა.

დედაჩემი და ბებია ამ დროს ლოდებს ეზიდებოდნენ ეზოსთვის ყორეს შემოსავლებად.

— დედიკო, ბებილო!—წამოიძახა გიორგიმ და კოფოდან კინაღამ გადმოვარდა.

მაშომ ცბიერად მოიკითხა დედა და ბებია, უთხრა მათ: — გიორგის რამდენიმე დღით დაგიტოვებთ, გაიხაროს სახლში ყოფნით, შემდეგ კი ისევ ჩემთან წავიყვანო.

ძმები და სოფლის ტოლი გოგო-ბიჭები სიხარულით ასკიკუას ეუკლიდით.

დედამ გიორგის გამხდარ, გაყვითლებულ სახეზე შეატყო, რა ყოფაში უნდა ყოფილიყო ბავშვი.

— შვილო, დედა გენაცვალოს, რა ფერი გადევს! თავს რას იჯიჯვნი?

გიორგის გული ამოუჯდა და უამბო, ქალბატონი თუ როგორ აშიმშილებდა, ცემით როგორ აცლიდა ღონეს... მის სწავლაზე ხომ სულ არ უფიქრია.

ამ ამბავმა დედა და ბებია ძლიერ დააღონა.

დედამ გული ჩაიმჯიღა და წამოიკვნესა.

— ჩემი კაბითაც დამჯდარა შენი გამამწარებელი!

მეოთხე დღეს მაშო თელავიდან გადმობრძანდა გიორგის წასაყვანად.

დედამ სასტიკად უსაყვედურა და გიორგის კვლავ გაყოლაზე ცივი უარი უთხრა.

გიორგი ხომ სათოფედ არ ეკარებოდა.

გაბრაზებული ქალბატონი ლოპატო ნირწამხდარი გაიძურწა ჩვენი სახლიდან.

დ. თუარდოსპირელი



თბილისის ზოოპარკის კუთხე. ნახატი მოსწავლე ჯუანშერ ვასაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთრის დასაწყისი

22 დეკემბერს, საღამოს დაახლოებით 8 საათზე მოსკოვის დროით, — ზამთრის ნაბუნიობა დგება. ზამთრის ნაბუნიობის მომენტი ზამთრის დასაწყისად ითვლება. რითაა შესანიშნავი ეს მომენტი?

ჩვენ ვხედავთ, რომ მზე ყოველდღე ამოდის და მოძრაობს ცის თაღზე ზევით და მარჯვნივ. დროს, როდესაც მზე დღის განმავლობაში ცის თაღზე უმაღლეს წერტილს აღწევს, შუადღე ეწოდება. შუადღის შემდეგ მზე თანდათან ეშვება და კვლავ ჰორიზონტს უახლოვდება. ამრიგად, იგი დღის განმავლობაში მოხაზავს ცის თაღზე რკალს და ჩადის.

მაგრამ მზე ყოველდღე ერთსა და იმავე რკალზე როდი მოძრაობს. ზაფხულიდან ზამთარში გადასვლის პერიოდში ეს რკალები დღითი-დღე მოკლდება და თანდათან ქვევით ლაგდება: ყოველდღე მზე ამოდის სულ უფრო და უფრო მარჯვნით და უფრო გვიან, ჩასვლისას კი სულ უფრო და უფრო მარცხნით იხრება და უფრო ადრე ეშვება ჰორიზონტზე; ამრიგად, მზე თანდათან ნაკლებ დროს რჩება ცაზე. ამიტომ ზაფხულიდან ზამთარში გადასვლის პერიოდში დღეები თანდათან კლებულობენ.

ბოლოს, მთელი წლის განმავლობაში დგება ისეთი მომენტი, როდესაც ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ცის თაღზე მზის შუადღისეული მდებარეობა ყველაზე დაბალ წერტილზე აღმოჩნდება. მაშინ მზე თითქოს ერთი წამით გაჩერდება. მზის გაჩერების სწორედ ეს ერთი წამი არის ზამთრის ნაბუნიობის მომენტი. ამის შემდეგ მზე დღითი დღე სულ ზევით და ზევით იწყებს აწევას.

მთელი იმ კვირის განმავლობაში, რომელშიც ზამთრის ნაბუნიობის მომენტი მოექცევა, ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ყველაზე მოკლე დღეები დგება. მოსკოვის სიგანედზე 19-დან 26 დეკემბრამდე დღის ხანგრძლივობა დაახლოებით 6 საათსა და 57 წუთს შეადგენს. უფრო ჩრდილოეთით კიდევ უფრო მოკლეა დღეები. ჩრდილოეთის პოლარულ წრეზე, — ჩრდილოეთის პოლუსიდან 23½ გრადუსზე მდებარე პარალელზე, — მზე მხოლოდ შუადღისას გამოჩნდება ჰორიზონტზე, ისიც სანახევროდ, და იქვე კვლავ ჩადის.. კიდევ უფრო ჩრდილოეთით მზე სულაც აღარ ჩნდება: ამ დროს იქ გაუწყვეტელი პოლარული ღამეა. თვით პოლუსზე რამე ნახევარ წელიწადს გრძელდება.

სამხრეთ ნახევარსფეროში ამ დროს პირიქით ხდება. მაგალითად, ავსტრალიასა და სამხრეთ ამერიკაში ახლა ზაფხული დგება, მზე დეკემბრის ნაბუნიობის დროს უმაღლეს წერტილს აღწევს ცის თაღზე. სამხრეთ პოლუსზე ამჟამად განუწყვეტელი დღეა. იქ მზემ ახლა ზღვრულ სიმაღლეს — 23½ გრადუსს მიაღწია. სამხრეთ ტროპიკზე კი, — ეკვატორიდან 23½ გრადუსზე მდებარე პარალელზე, — მზე შუადღისას დამკვირვებელს პირდაპირ თავზე დასცქერის; სხეულები იქ ამ დროს სრულებით არ იძლევიან ჩრდილს.

სამჯერ ვახსენეთ ჩვენ აქ რიცხვი 23½ გრადუსი. რატომ სწორედ 23½ გრადუსი? ეს იმიტომ, რომ დღედაღამისა და წლის განმავლობაში მზის ხილული მოძრაობა ცის თაღზე — მოჩვენებითია: ნამდვილად, როგორც ვიცით, მზე კი არ მოძრაობს, არამედ დედამიწა მოძრაობს თავისი ღერძის გარშემო და მზეს იგი ერთხელ შემოუვლის წლის განმავლობაში. დედამიწის ღერძი კი დახრილია და დედამიწის ორბიტთან (დედამიწის გზა მზის გარშემო) შეადგენს სწორედ 23½ გრადუსიან კუთხეს. ღერძი დახრილი რომ არ იყოს, არამედ პირდაპირ იყოს მიმართული, წლის სხვადასხვა დრო არ იქნებოდა, და ყოველთვის და ყველგან ჩვენს პლანეტაზე დღე და ღამე თანაბარი იქნებოდა, — თვითეული ზუსტად 12 საათი გაგრძელდებოდა.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲥᲝᲠᲔᲚᲘ

ᲑᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲔ

ᲜᲐᲮᲐᲢᲘᲡ Გ. ᲑᲔᲚᲔᲪᲙᲘᲡᲗᲐᲜ

ᲙᲝᲢᲔ ᲛᲔᲡᲮᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ „ᲮᲘᲜᲩᲚᲐ"

ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ*

იმ დროს თბილისში ახალი, ევრობული საეკეკეაო სიმღერა შემოიღეს „კეკ-უოკ". ამ საეკეკეაოს ყველა მღეროდა, უკრავდა ქუჩის არღნებიც კი. ხინჩლამ ეს ხმა არაჩვეულებრივი სიზუსტით გადმოიღო... ერთხელ ქუჩიდან მოგვესმა „კეკ-უოკ". გავიხედეთ, და ხინჩლა ხტუნვა-ხტუნვით, ნავთის ჭურჭლით ხელში, მორბის და „კეკ-უოკს" დამღერის. თან რაღაც, მისივე მეთხზული სიტყვები შეუტანია მელოდიაში. მეტად გაგვაოცა ამ ამბავმა. კოტე ერთხანს ჩუმად იყო, დაფიქრებული, მერმე თქვა:

— ამ ბიჭმა დღეს დამაბნია. მეგონა, რომ ჩემი საყვარელი „დონ-კიხოტის", „უმწიკვლო და უშიშარი რაინდის" მოდგმისა იყო, ახლა კი ვხედავ, რომ დიდი მუსიკალური ნიჭიც ჰქონია...

ვუყურებდი კოტეს და ვხედავდი, თითქოს გაიხარდა და მისი თვალები არაჩვეულებრივად ელვარებდა. წუთით შეჩერდა და შემდეგ განაგრძო:

— ახლა წერა-კითხვა უნდა ვასწავლო და შემდეგ სასწავლებელში მივაბარო.

ანანანი და გოგებაშვილის „დედაენა" ნატომ დაიწყებინა. წერა-კითხვა ძალე შეისწავლა, მაგრამ კითხვას გული ვერ დაუდო. „დედაენაში" მოთავსებული მოკლე და სადა მოთხრობების შინაარსი არ აინტერესებდა, მოსაწყენიაო.

—ვახ, ეს რად მინდა?

გუთანს, თოხს, ძროხას, თხას და ამგვარს კარგად იცნობდა, — ესენი წიგნში რა ჩასაწერი იყოო, ამბობდა, სხვა რამე წაგიკითხეო.

ერთხელ კოტემ „ვეფხის ტყაოსანი" გამოიტანა და რამოდენიმე ადგილი წაუკითხა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი სიტყვა მისთვის უცნობი და გაუგებარი იყო, ხინჩლა მაინც უძრავად იჯდა და სმენად გადაიქცა. ალბათ შოთას ლექსის მუსიკამ მოხიბლა. კოტე კი „ვეფხის ტყაოსანს" კარგად კითხულობდა. რამოდენიმე დღის განმავლობაში კოტე თავისი სიტყვებით უამბობდა პოემის მოკლე შინაარსს. დიდი სიამოვნება ეხატა ხინჩლას სახეზე. პაუზების დროს მოუთმენლად იკითხავდა: მერმე? მერმე რა იქნებაო? ზოგჯერ კი თხოვდა: — ახლა წიგნიდანაც წამიკითხე.

მოკლე ხანში ხინჩლამ კოტეს ოჯახის ცხოვრება-ვითარება კარგად გაიცნო და იმდენად შეეჩვია მას, რომ მისი ლხინიც და ჭირიც თავისად მიიჩნია.

ერთხელ კოტემ ხინჩლას ძნელი დავალება მისცა: აბა, ვნახოთ, როგორ შეასრულებსო, აქვს თუ არა საქმეში ნებისყოფა, სიმტკიცე?

კოტე თეატრიდან, წარმოდგენის შემდეგ, გვიან ბრუნდებოდა შინ. ივახშმებდა, მაგიდას მიუჯდებოდა და თითქმის გათენებამდე კითხულობდა, წერდა. მიუხედავად ამისა, ადრე იღვიძებდა და ყოველთვის კარგ გუნებაზე იყო. ნასადილევის ძილი კი იმდენად ღრმა და მძიმე იცოდა, რომ გაღვიძება ძალიან უჭირდა. წუხდა, წარმოდგენაზე დაგვიანების ეშინოდა, მაგრამ ძილს თავს მაინც ვერ ართმევდა. ეს ნამდვილი ავადმყოფობა იყო მისი. მთელი ოჯახი თავს დაადგებოდა ხოლმე და დიდი წვალებით, ვაივაგლახით აღვიძებდნენ.

კოტემ ხინჩლას დაუძახა და უთხრა:

— აბა, ბიჭიკუნა, დღეს შენ გამაღვიძე. ამ გუგულიან საათს უყურე. როდესაც გუგული ექვსჯერ დაიძახებს, გამაღვიძე. სანამ არ ავდგე, ნუ მომეშვები, თორემ თეატრში დამაგვიანდება .შეიძლება გაგიჯავრდე კიდეც, მაგრამ ნუ შეშინდები. თუ გაგიჭირდება, საბანიც გადამაძრე! გესმის, დროზე გამაღვიძე, არ მომეშვა!

ექვსი საათი სრულდებოდა. ხინჩლა გუგულის ხმას მოუთმენლად ელოდა, თვალე-

*) დასაწყისი იხილეთ ეურნ. „პიონერის" № 10-ში

ბი უბრწყინავდა და მუშტები მოკუმული ჰქონდა, თითქოს საბრძოლველად ემზადებაო. აი, გუგულმა ექვსჯერ დაიძახა. ხინჩლა საწოლ ოთახში შევიდა და ხმა გაიბზარა:

— ექვსი საათია! ძია კოტე, ადექი, ჰეი! — წუთით შეჩერდა. — ადექი, რაღა!—კიდევ შეჩერდა. — ვახ! არ გესმის? ექვსი საათია!

რამდენჯერმე გაიმეორა, მაგრამ კოტე არც განძრეულა. ხინჩლა ღელავდა, მოთმინება ეკარგებოდა და მისი ძალად გაბოხებული ხმა ბავშვურ დისკანტზე გადავიდა. კოტეს ზედ თავზე დაადგა და ყურში ჩასძახა:

— ექვსი საათია, დაგაგვიანდება! — შეეცადა .— ჰეი, ჰეი, ძია კოტე, ადექი, უუ! — კიდევ შეეცადა. — ვახ! ეს რა ყოფილა!

— ჰმ! დაიბუზღუნა კოტემ და ისევ ჩაიძინა. ხინჩლამ კიდევ ჩასძახა.

— ჰმ! კარგი, რას ჩამაცივდი, მე თითონ გავიღვიძებ!

მაშინ ხინჩლა საბანს ჩაებღაუჭა.

— კარგი, ვიცი... აღარა მძინავს, თავი დამანებე!

— არ დაგანებებ... ადექი!

— მომშორდი, ბიჭო, თორემ!...

ხინჩლამ საბანი მაინც გადააძრო და სწრაფად უკან გადახტა. ამავე დროს კოტეს ფეხსაცმელი ჰაერში გასრიალდა და კედელს მოხვდა.

— შენ არ მითხარი არ მომეშვაო, ახლა მეჩხუბები?! არ ადგები?! ვაკვაკი არ ვიყო თუ წყალი არ დაგასხა! — და დოქს ხელი მოავლო.

კოტემ გაიღვიძა.

— ფეხსაცმელი მომაწოდე!

— ეგენი არ იყოს!... ჯერ ადექი და...

— ფეხსაცმელი მეთქი, ბიჭო!... — კოტე სიცილს ძლივს იკავებდა.

— აღარ მესროლო, აი, თორემ!...

— კარგი, არ გესვრი. მომაწოდე. ვდგები! — და კოტე ტახტზე ჩამოჯდა.

ხინჩლამ აქეთ-იქით გაიხედა, უკანდასახევი გზა მონახა, ფრთხილად მიუახლოვდა და ფეხსაცმელი მიაწოდა! კოტემ ხმაამოღებლად ჩაიცვა, პირი დაიბანა, ქუდი დაიხურა და მხოლოდ მაშინ მივიდა ხინჩლასთან და უთხრა:

— ყოჩაღ! მარჯვე ბიჭი ყოფილხარ, გამბედავიც, დავალებას კარგად ასრულებ! ცხოვრებაში შორს წახვალ!

— ვაახ! გაგაღვიძე, სხვა ხომ არაფერი!...

* * *

შემოდგომა მიწურული იყო. კოტემ შეშა იყიდა და სარდაფში დაალაგეს. ხინჩლა ზევით ამოვიდა, დაფიქრდა და თქვა:

— ახლა ჩვენშიაც ამზადებენ შეიარაღებულ [illegible] და მოულოდნელად დაუმატა: — [illegible] მოდღეღებულია, ჩურჩხელას აკეთებენ... წაბლიც მოკრეფილია... უჩემოდ...—მერმე თავის ფიქრებს გაჰყვა და განაგრძო:—ბოსტანს არა უშავს რა, თოვლი მოვა, შეინახავს... ყანასაც... ძროხასა და ცხვარს ჩემსავით ვინ მოუვლის?!

მის კილოში მეურნე გლეხის მზრუნველობაც სჩანდა, მშობელი სოფლის მიმართ დიდი სევდაც.

კოტეს და ნატოს არაფერი არ უთქვამთ, ხოლო ხინჩლას სევდამ კოტე დააფიქრა.

აცივდა. პირველი თოვლი მოვიდა. ხინჩლა დავალებებს წინანდებურად კარგად ასრულებდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ის აღარ იყო, რაც ჩამოსვლის პირველ თვეებში. რაღაც აწუხებდა, აფიქრებდა და მის მხნე მუნებას ბორკავდა. მისი „კეკ-უოკი" იშვიათად ისმოდა. ქუჩის ბიჭებს ყურადღებას აღარ აქცევდა, არც მედუქნეს და ძეფურნეს ეჩხუბებოდა. ჩუმად იყო. ზოგჯერ, როდესაც სევდა ძალიან შეაწუხებდა, ეზოში ჩაირბენდა, პატარა ნაჯახს აიღებდა და შეშას ჩეხდა, სანამ ოფლი არ მოუვიდოდა. ნატო უჯავრდებოდა — ოფლი გაქვს, გაცივდები, ავად გახდებიო. ხინჩლა უპასუხებდა:

— იიხ! შენ რა იცი!... ჩვენში იციან—მუშაობაში ოფლს რომ მოიდეხ, გულს მოგეშვებაო!

ნამდვილი ზამთარიც დადგა. ხინჩლა ერთხელ შუაბანდში იდგა და თოვლის წვრილ-წვრილ ფიფქებს თვალს ადევნებდა, თან იქითკენ იყურებოდა, სადაც ძმისი სოფელი ეგულებოდა.

— რას უყურებ, ხინჩლა? თოვლი გახარებს?—შეეკითხა კოტე.

— იიხ! ეს რა თოვლია?

— მაშ, როგორი გინდა?

— ჩვენს სოფელში რომ იცის, აი, ისეთი... მთელ სოფელს საბანივით გადაეფარება, სულ დამალავს. აქა-იქ ბოლი ზევით ადის, ცაში იკარგება... ცეცხლი ვის უნთია, ვერ გაიგებ...

— პოეტი ყოფილხარ, ხინჩლა!... — ხუმრობით უთხრა კოტემ. ხინჩლამ ეს უცნობი სიტყვა იწყინა, წარბი შეიკრა, წუთით დადუმდა.

—ეე, ნუ დამცინი, თორემ...—მაგრამ, თოვლის საბანგადაფარებულ სოფელზე ოცნებით შეპყრობილმა, განაგრძო: — დიდი თოვლია ხოლმე... გზებშიაც, ეზოშიაც გავლა აღარ იქნება... ჩაეფლობი.... ურმიანად ჩაეფლობი. ეზოში ნიჩბით ბილიკებს ვაკეთებთ... განა ცივა?... არა ცივა... მერე, შინ, ბუხარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან რომ დაჯდები ოშხიკარი აგდის... ეეხ!
— ამოიოხრა ხინჩლამ და ოთახში შეიდა.

კოტე დიდი თანაგრძნობით უყურებდა ხინჩლას, წუხდა, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ მისი სულიერი განწყობილება დროებითი იყო და მალე გაიელიდა. ეს ნაბიერი ბიჭი შვილივით შეუყვარდა და კარგად ესმოდა, რომ ლაღ ბუნებას მოწყვეტილი, მშობელ სოფელს მოშორებული, სიცოცხლით სავსე პატარა ბიჭი ქალაქში ყოფნას ნაღვლობდა. კოტეს განზრახული ჰქონდა შემოდგომისათვის ქართული გიმნაზიის პირველი კლასისთვის მოემზადებინა იგი.

სოფლებიდან ჩამოსულ ტოლ-ამხანაგებში გამოცოცხლდება და თავს კარგად იგრძნობსო, მანამდე კი უნდა როგორმე გავართოთ, — ფიქრობდა კოტე.

ერთხელ, საოპერო თეატრში „ღალატი“ დადგეს. კოტემ ხინჩლა თეატრში წაიყვანა: თეატრს ნახავს, პიესის შინაარსით, დეკორაციებით, ტანსაცმლებით დაინტერესდება და გაერთობაო.

წარმოდგენის დაწყებამდე კოტემ ხინჩლა ფოიეში გაატარა. ფოიეში მოსეირნე მაყურებლები დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ ამ არაჩვეულებრივად გამოწყობილ პატარა ბიჭს. მათმა ცნობისმოყვარეობამ ხინჩლა შეაწუხა და ფოიეს ბოლოსკენ გაექანა. აქ ჯერამდე ამართული იყო კედლის უზარმაზარი სარკე. ასეთი სარკე ხინჩლას თავის დღეში არ ენახა. სარკეში მრავალი ხალხის ანარეკლი დაინახა და ყველაზე წინ პატარა ბიჭი. აღელვებულმა ვერ იცნო თავისითავი, იგი უცხო ბიჭი ეგონა, რომელიც მისკენ ჯიქურ მოდიოდა. ხინჩლა თავის დაცვაზედ მოემზადა, წინ წაიწია და უცვე... შუბლი სარკეს მიახალა. ხალხმა სიცილი ასტეხა, ხინჩლას შერცხვა და ფოიედან გაიქცა. კოტემ დაიჭირა, დაამშვიდა და პარტერში შეიყვანა.

წარმოდგენა დაიწყო. პიესის მოკლე შინაარსი კოტესგან გაგონილი ჰქონდა, მაგრამ ახლა ვერაფერი ვერ გაიგო. არც იყო გასაკვირი: ოპერის მდიდრულად მორთული უზარმაზარი დარბაზი, ფარდის ახდა, რომელიც ხინჩლას კედელი ეგონა, არაჩვეულებრივი დეკორაციები, მდიდრული, ოქრომკედით მოქარგული და ძვირფასი თვლებით შემკული ტანსაცმელები, არტისტების თეატრალური ლაპარაკი,—ყოველივე ეს ხინჩლასთვის სრულებით ახალი ამბავი იყო. ეს მრავალფეროვანი შთაბეჭდილება მისმა ნორ-

ჩმა და მოუმზადებელმა გონებამ არ მიიკარა. მასში ყველაფერი აირია და, როგორც შემდეგ თქვა, თეატრი შესძულდა.

კოტეს ეს ამბავი ეწყინა, მაგრამ შემდეგ თითონაც აღიარა:

— შეცდომა ჩავიდინე. სადობდა უბრალო, ჩვენი ცხოვრებიდან აღებულ პატარა კომედიაზე წამეყვანა. იქ ყველაფერს გაიგებდა და გაერთობოდა...

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ კოტემ თითქმის ძალით წაიყვანა ხინჩლა კლუბში, სადაც დგამდნენ „დედის ერთას“, მხიარულ კომედიას. ხინჩლამ ეს კომედია კარგად გაიგო და ბევრი იცინა. თითქმის მთელი ტექსტი დაიხსომა და მეორე დღეს ნატოს ჩააცივდა:

— შენ დედა იქნები, მე—იოთამი. შენს სათქმელს მე გეტყვი.

კოტე ძალიან გახარებული იყო, რომ ხინჩლას გასართობს მიაგნო, მაგრამ ასეთი გართობა იშვიათად ხდებოდა, რადგან კოტე თავისი საქმეებით მეტის-მეტად იყო დატვირთული... ხინჩლას ისევ სოფელი აგონდებოდა და ოცნებით მისკენ მიისწრაფოდა.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს ნაკრძალები

ჩვენს მზიურ სამშობლოს ულეველი ბუნებრივი სიმდიდრე გააჩნია. მისი ძვირფასი ფლორა (მცენარეები) და ფაუნა (ცხოველები), მისი წიაღისეული სიმდიდრენი მეცნიერებას დიდძალ მასალას აძლევს იმისათვის, რომ ღრმად შეესწავლოს საქართველოს ეკონომიკა, მისი აწმყო და მომავალი. ამ მხრივ მეცნიერებისათვის უდიდესი სამსახურის გაწევა შეუძლია სახელმწიფო ნაკრძალებს, რომელთა რიცხვი ჩვენში თანდათანობით მატულობს.

სახელმწიფო ნაკრძალების დანიშნულება არის დაცული და შენარჩუნებულ იქნას ბუნების მნიშვნელოვანი სიმდიდრენი როგორც ფლორის, ისე ფაუნის დარგში; ყოველმხრივ ხელი შეუწყოს მათ გამრავლება-განვითარებას, შესწავლილ იქნას მათი მნიშვნელობა.

ამათუიმ ობიექტის ნაკრძლად გამოყოფისას, ყურადღება ექცევა იშვიათი მცენარეებისა და ცხოველების ჯიშებს, რომელთა გავრცელების არე დროთა განმავლობაში სხვადასხვა გარემოებათა გავლენით მცირდება.

თვითმპყრობელობის დროს საქართველოში სახელმწიფო ნაკრძალები არ არსებობდა. ბარბაროსულად ნადგურდებოდა ბუნების სიმდიდრენი. თავად-აზნაურები და მეფის მოხელეები გართობის მიზნით ნადირობდნენ იშვიათ გარეულ ცხოველებზე, უზომოდ ჟლეტდნენ მათ. მაგალითად 1900 წელს მეფის ახლო ნათესავმა რომანოვმა ბორჯომის ხეობაში ერთ დღეს შვიდი ხარიერემი მოჰკლა მყვირალობის დროს. 1903 წელს თავადმა დონატომმა ლაგოდეხში, დღევანდელი ნაკრძალის ტერიტორიაზე, ერთ ნადირობის დროს მოჰკლა ოცდაორი ჯიხვი, რვა არჩვი და ერთი შველი. ასეთი ბარბაროსული ნადირობა მაშინ იშვიათი როდი იყო.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს კიდევ უფრო იმატა თავაშვებულმა ნადირობამ, რამაც გაანადგურა უამრავი ირემი, ჯიხვი, არჩვი, შველი, გარეული ღორი და სხვა. მაშინ არანაკლებ განადგურდა აგრეთვე ძვირფასი ტყეები, რომელთა შემადგენლობაში იყო იშვიათი და დღევანდლამდე შემორჩენილი მცენარეები.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი მკვიდრ ნიადაგზე დამდგარიყო ბუნების ძეგლებისა და სიმდიდრეების დაცვა. ცნობილია თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდა დიდი ლენინი ამ საქმეს. ლენინის წინადადებით 1919-20 წლებში დაარსდა ასტრახანისა და ურალის ნაკრძალები, ხოლო 16 სექტემბერს ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს „ბუნების ძეგლების დაცვის შესახებ", რამაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა როგორც საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკებში, ისე საქართველოშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებობს ნაკრძალთა, ზოოპარკთა და ზოოშაღალთა სამართველო, რომელსაც დავალებული აქვს ნაკრძალებში დაიცვას ფლორა და ფაუნა, დასახოს და გაატაროს სათანადო ღონისძიებანი მათი მოვლა-პატრონობისა და განვითარების საქმეში.

ამჟამად საქართველოში 23 სახელმწიფო ნაკრძალი არსებობს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სისტემატურად იხილავს საკითხს სახელმწიფო ნაკრძალების მდგომარეობის შესახებ და მნიშვნელოვან ამოცანებს უსახავს ამ დარგში მომუშავეებს. უკვე მიღებულია სერიოზული ზომები არსებული ნაკრძალების მოვლის გაუჯობესებისა, კეთილმოწყობისა და ახალი ნაკრძალების გამოყოფისათვის. მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველ წელს ნაკრძალების კეთილმოწყობისათვის ერთ მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ტყის მავნებლების გამორკვევა და მათთან ბრძოლა, ტარდება სატყეო-საკულტურო სამუშაოები, ხდება ზოგიერთი ნაკრძალის შემოღობვა და ფაუნის აღნუსხვა, იგზავნებიან სპეციალისტთა ექსპედიციები ნაკრძალებში სამეცნიერო სამუშაოთა ჩასატარებლად, განზრახულია ჩატარებულ მუშაობის შესახებ ცალკე კრებულების გამოცემა.

გულისხმიერი, თანმიმდევრული მუშაობის შედეგად საქართველოს მრავალი ნაკრძალი გაძლიერდა და გამრავალფეროვანდა იშვიათი ცენარეებისა და ცხოველთა ჯიშებით. საყურადღებოა ლაგოდეხის ნაკრძალი, რომლის ფლორა და ფაუნა მეტად მდიდარია. ამ ნაკრძალში თავმოყრილია საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული მთელი ფლორის ორმოცი პროცენტი. მათ შორის უძველესი მცენარეებიც. ნაკრძალში უხვად არის კავკასიის უძველესი ენდემური ფაუნა, რომლის წარმომადგენლებსაც მიეკუთვნებიან: ჯიხვი, არჩვი, კავკასიის ირემი, შურთხი, როქო, ბლომად მოიპოვება აგრეთვე შველი, გარეული ღორი, კვერნა, მელა, დათვი და სხვა იშვიათი ცხოველები.

ნაკრძალის დირექციას ყოველწლიურად შეაქვს ტყეში მინერალური საკვები და აწყობს მას ხელოვნურად გაკეთებულ სამარილეებში ჯიხვის, ირმისა და არჩვისათვის. გარდა ამისა, ამ იშვიათ ჩლიქოვან ცხოველებს დირექცია უმზადებს თივას იმ ადგილებში, სადაც ისინი ზამთრობით ბინადრობენ.

საინტერესოა ბორჯომის ნაკრძალი, რომლის ფართობი 14 ათას ჰექტარს აღემატება. ნაკრძალში ბლომად არის გავრცელებული კავკასიის ირემი, ნიამორი, ჯიხვი, კვერნა, მთის ინდაური და სხვა. აქ მთავარი ყურადღება იქითკენ არის მიმართული, რომ გამრავლებული და დაცულ იქნას კავკასიის ირემი, რომლის რაოდენობა დაუზოგავი ნადირობის შედეგად ძალიან შემცირდა. პირველ ხანებში ამ ნაკრძალში ირმის გამრავლება ნელი ტემპით მიმდინარეობდა. უკანასკნელ წლებში ამ მხრივ გარდატეხა მოხდა. ამჟამად ნაკრძალში ათასხუთასზე მეტი ირემი მოიპოვება.

ყურადღებას იპყრობს ტებერდის ნაკრძალი, რომელიც თავისი ფართობით თითქმის ხუთჯერ მეტია ბორჯომის ნაკრძალზე. ამ ნაკრძალის დანიშნულებაა მაღალმთიანი ფლორისა და ფაუნის დაცვა-განვითარება და მისი შესწავლა როგორც სამეცნიერო, ისე სამეურნეო თვალსაზრისით. მას აქვს საკურორტო მნიშვნელობაც. ნაკრძალში საკლიმატიზაციოდ გაშვებულია ხალებიანი ირემი, ენოტი და ციყვი, რომლებიც საკმაო რაოდენობით მომრავლდნენ.

ტებერდის ნაკრძალმა დიდი ზარალი განიცადა გერმანელ დამპყრობთა დროებითი თარეშის დროს. მათ ასობით ირემი და სხვა იშვიათი ჯიშის გარეული ცხოველები დახოცეს. ამჟამად მიმდინარეობს ნაკრძალის აღდგენა.

მეტად ღირსშესანიშნავია აგრეთვე რიცის, ბიქვინთის, გუმისთის, ტყიბულის, აჯამეთის, მარიამჯვრის, შირაქის და თელავ-ყვარლის ნაკრძალები.

ჩვენს ნაკრძალებში საერთოდ ისეთი მცენარეები და ცხოველები მოიპოვებიან, რომლებიც სხვაგან არ გვხვდება. ეს კიდევ უფრო ზრდის საქართველოს ნაკრძალების სამეცნიერო და სამეურნეო მნიშვნელობას.

ელიზბარ უბილავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა ს ა რ თ ო ბ ი

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(შედგენილი ალ. საჩინოელის მიერ)

1. ფართიფურთი!.. ფართიფურთი!..
   საჭიროა ასო ხუთი...
   არც ფეხი აქვს და არც თვალი,
   არის კოხტა, არის მრგვალი.
   ზოგი მომცრო, ზოგი დიდი,
   როდი არის იგი მშვიდი:
   დახტის, დაჰქრის, დატრიალებს,
   სცემენ, მაგრამ არ ღრიალებს.

2. იგი თავდალმა ყურით ჰკიდია,
   ზოგჯერ გუგუნებს, ზოგჯერ მშვიდია.

3. კნატიკნუტი, კნაწიკნუწი!...
   არც კურკა აქვს და არც კუნწი.

ა მ ო ც ა ნ ა

51	52	53	54	55
56	57	58	59	60
61	62	63	64	65
66	67	68	69	70
71	72	73	74	75

აღნიშნულ უჯრედებში ჩაწერილი რიცხვები გადაადგილეთ ისე, რომ მათი შეკრებით როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური სვეტებში, აგრეთვე დიაგონალურად მიიღოთ ჯამი 315.

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
თ. **გაბაშვილაშვილი** — მას სიკეთეზე, მას დიდება! (ლექსი)	1
ი. **ნიკონოვი** — კიროვი და ბავშვები	2
ვ. **ანანიანი** — წერო (მოთხრობა)	3
მ. **ლებანიძე** — გამარჯვებული არტილერია (ლექსი)	5
გ. **კაპანიძე** — დიდი ქართველი მწერალი (წერილი)	6
ა. **ადამია** — ლაზური ბალადა	9
ო. **ნემსაძე** — პიონერული რაზმის შეკრება	12
ქ. **ბობოხიძე** — ჩემს სოფელში (ლექსი)	14
გ. **შატბერაშვილი** — ზამთრის პირი (ლექსი)	14
ნ. **ნაკაშიძე** — მეფე და მბეჭდავი (ისტორიული მოთხრობა, დასასრული)	15
შ. **მესხია** — სიმონ ჯანაშია (წერილი)	19
ე. **ზედგინიძე** — ოცივილ ბავშვები (ნარკვევი)	21
დ. **თურდოსპირელი** — პიოტრის ბავშვობა (მოგონება)	23
ზამთრის დასასრული	26
მ. **ქორელი** — კოტე მესხი და მისი ხიბლ-ლა (მოგონება, გაგრძელება)	27
ე. **უბილავა** — საქართველოს ნაკრძალები (ნარკვევი)	30
გასართობი	32
ამერიკელი უსწავლელ ადამიანების ცხოვრება	გარეკ. მე-3 გვ.
თ. **შავერზაშვილი** — სახუმარო (მესაკა)	გარეკ. მე-4 გვ.

გარეკანზე „ზამთარი“ ნახატი ნ. ფოფხაძისა

პასუხისმგებელი რედაქტორი **ბ. კაბახიძე**

სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, აკად. ნ. ბერძენიშვილი, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ვ. ვარდიაშვილი, პროფ. გ. თავზიშვილი, ს. კეცხოველი, პ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.

უე 01006 ტირაჟი 7.000 გამომცემლობის შეკ. № 126 სტამბის შეკ. № 1585

ლ. პ. ბერიას სახელობის კომბინატი „კომუნისტი“ ლენინის ქ. № 28. ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია საქართველოს სსრ საგამომცემლო მრეწველობის სამინისტროს ლითოგრაფიაში.

ამერიკელი უბრალო ადამიანების ცხოვრება

ამ რამდენიმე ხნის წინად რუსულ ენაზე გამოვიდა ამერიკელი მწერლის ალბერტ მალცის მოთხრობების წიგნი „ასეთია ცხოვრება“. ამ წიგნში მთელი სინამდვილით არის აღწერილი ამერიკელი მშრომელი ადამიანების სიღატაკე და უუფლებობა.

„უბედნიერესი ადამიანი ქვეყანაზე“

ამერიკელი მუშა ჯესი ფულტონი ექვსი წელიწადი ეძებდა სამუშაოს. ცოლითა და ჩვენი ბავშვით იგი ცხოვრობდა იმ დახმარებით, რომელიც მას ეძლეოდა, როგორც უმუშევარს. ეს ფული საჭმლისთვისაც არ ყოფნიდა.

მაგრამ აი, ფულტონს დახმარებაც მოუსპეს. მას უკანასკნელი იმედი-ღა ჰქონდა დარჩენილი რაიმე სამუშაო მიეღო ტომ ბრეკეტთან, თავის ცოლისძმასთან. ბრეკეტს სჭირდებოდა შოფერი სატვირთო ავტომობილზე, რომლითაც ამაფეთქებელ ნივთიერებას — ნიტროგლიცერინს ეზიდებოდნენ. ეს მეტად სახიფათო სამუშაო იყო. ოდნავი დარტყმა, სალტეს გახვრეტა — და მანქანა იფშვამსვე აფეთქდება. ყოველწლიურად ამ სამუშაოზე რაოდენიმე შოფერი იღუპებოდა. უკანასკნელი შოფერი სულ ახლახან დაიღუპა. ტომ ბრეკეტმა უარი უთხრა ჯესის — ასეთ სამუშაოზე დაიღუპებიო. მაგრამ ჯესი ემუდარებოდა. მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. „მეტი არაფრის იმედი არ არის, — ეუბნებოდა იგი ტომს. — ექვსი წელიწადი ველოდები სამუშაოს — რისი იმედი უნდა მქონდეს!“. ჯესიმ იცოდა, რომ უეჭველი სიკვდილი მოელოდა: ადრე თუ გვიან ძანქანა აფეთქებოდა. მაგრამ ჯესი ფიქრობდა დაღუპვამდე ცოტა ფული მაინც მოეგროვებინა და უზრუნველეყო ოჯახი.

ბოლოს, როგორც იქნა ტომი დათანხმდა. „ეს ბედნიერებაა, ბედნიერება! — ეუბნება იგი ტომს. — მე მზად ვარ ვიმღერო ასეთი ბედნიერებისაგან“.

ასეთია ალბერტ მალცის მოთხრობის („უბედნიერესი ადამიანი ქვეყანაზე“) შინაარსი. ეს მოთხრობა ომამდეა დაწერილი. მაგრამ ამერიკაში ომის შემდეგაც არაფერი შეცვლილა. კვლავ მილიონობით ადამიანები დაეხეტებიან ამერიკაში სამუშაოს საძებნელად, კვლავ მათხოვრობენ, შიმშილობენ...

ულამბელი, დაუზოგავი ქვეყანა

ახალგაზრდა ზანგი ჯორჯ ბიჩერი გამოექომაგა ათი წლის ზანგ გოგონას და ჩხუბში სილა გააწნა მდიდარი პლანტატორის სმოლვუდ-ბეილის მამულის მმართველს. პლანტატორი სმოლვუდი თავის თავს კულტურულ, განათლებულ ადამიანად თვლის, მხატვრობას მისდევს. მაგრამ მთელი ეს მისი კულტურულობა მოჩვენებითია. იგი ისეთივე მონათმფლობელია, როგორც სხვა მემამულეები. ძისი აზრით, ზანგები „მუხლებზე უნდა ხოხავდნენ თეთრების წინაშე“. „არ შეიძლება აპატიო ზანგს, რომელმაც ხელი შეუბრუნა თეთრს“. პოლიციის ძოხელემ ურჩია სმოლვუდს ზანგი ლინჩის წესით დაესაჯა ან კატორღაში გაეგზავნა. მაგრამ სმოლვუდს არ სურს დაკარგოს „მშვენიერი მუშა“. მისი აზრით, ზანგი „უნდა დაშინო... უნდა აგრძნობინო, თუ რა ჩაიდინა, როდესაც თეთრს ხელი შემოჰკრა“. მას სურს ერთხელ და სამუდამოდ წაართვას ზანგს „საკუთარი აზრი“, რომ მან ამერიდან არასოდეს აღარ გაიფიქროს, თითქოს იგი ტოლია თეთრის, ვეღარ გაბედოს თეთრზე ხელის შემართვა. ბიჩერს იგი ეუბნება: „შენ არ უნდა იფიქრო, რომ თითქოს შეგიძლია ხელი შეუბრუნო თეთრს და ამისათვის არ დაგსჯიან... შენ უნდა გეესმოდეს, თუ რა ქვეყანაა ეს, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ“.

ჩვენ ვხედავთ, „თუ რა ქვეყანაა ეს!“ — ქვეყანა, სადაც თეთრს თავისუფლად შეუძლია ისე მოეპყრას ზანგს, როგორც მოესურვება, ქვეყანა, სადაც გამეფებულია სიტლანქე, გულქვაობა.

მრავალი დაძცირება და ტანჯვა ვადაიტანა ბიჩერმა. ახლა აღარ სურს შეურიგდეს ყოველივე ამას. იგი პირში ახლის პლანტატორს მთელ თავის მწარე გულისნადებს.

ახალგაზრდა ზანგი არ თმობს თავის შეხედულებებს. იგი მზად არის ბოლოძდე იბრძოლოს სიმართლისათვის. მაგრამ არ დასცალდა მას ეს ბრძოლა. თეთრკანიანებმა ლინჩის წესით მას დასჯა მოუნდომეს, მაგრამ ბიჩერმა დაასწრო და თავი მოიკლა, ცოცხლად არ დანებდა.

ასეთი ცხოვრება აქვთ ზანგებს ამერიკაში. მათი მდგომარეობა ომის შემდეგაც არ გაუმჯობესებულა. მილიონი ამერიკელი ზანგი მონაწილეობდა ფაშიზმის წინააღმდეგ ომში, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მათ კვლავ სდევნიან, კვლავ ამცირებენ მათ ადამიანურ ღირსებას.

* * *

ალბერტ მალცმა დასწერა სიმართლე ამერიკის მშრომელთა მდგომარეობის შესახებ. ამისათვის ამერიკელი ფაბრიკანტები და ბანკირები მოითხოვენ მის პასუხისგებაში მიცემას. მას ბრალს დებენ „კომუნისტურ მოღვაწეობაში“. ასეთსავე ბრალს დებენ ისინი ამერიკის ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა გამოჩენილ მოღვაწეებსაც, მათ რიცხვში მსოფლიოში სახელგანთქმულ კინოაქტიორსა და რეჟისორს ჩარლი ჩაპლინსაც.

5 55/31

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახუმარო

მუსიკა თამარ შავერზაშვილისა